საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს
განათლებისა
და მეცნიერების
სამინისტრო

ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა
უმაღლესი კომისრის ოფისი

OSCE

# სავარჯიშოების კრებული

არაქართულენოვანი სკოლების
ქართული ენის მასწავლებელთათვის

თბილისი
2006



# სავარჯიშოების კრებული

გამომცემლობა „საიმედო“

თბილისი

2006

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს
განათლებისა
და მეცნიერების
სამინისტრო

**High Commissioner on National Minorities**

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
უმაღლესი კომისარი ეროვნულ უმცირესობათა დარგში

**Compiled within the framework of a joint project "Supporting teaching of Georgian as second language in minority schools of Samtskhe-Javakheti". of the OSCE High Commissioner on National Minorities (HCNM) and Ministry of Education and Science of Georgia**

osce

გამოცემულია ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა დარგში უმაღლესი კომისრის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის "ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების ხელშეწყობა სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვან სკოლებში" ფარგლებში

პროექტის დირექტორი – ბელა წიფურია

პროექტის კოორდინატორი – შალვა ტაბატაძე

რედაქტორი – კახა გაბუნია

სავარჯიშოებზე მუშაობდნენ:

თამარ ჯაყელი
მაია ინასარიძე
მაია მელიქიძე
ჭაბუკი ქირია
კახა გაბუნია
მარიკა ოძელი

# 1. სავარჯიშოები დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის

1. დახატე:

კუ



მზე



მთვარე



მაგიდა



ხე



ყვავილი



2. გააფერადეთ:

ლურჯად -　　წითლად -

მწვანედ -　　ყვითლად -

| | |
|---|---|
| გ ი გ ა | ს ო ს ო |
| გ ი ო რ გ ი | ს ა ნ დ რ ო |
| გ ვ ა ნ ც ა | ნ ი ნ ო |
| მ ა რ ი ნ ე | თ ე ო ნ ა |
| რ ე ზ ო | პ ა ა ტ ა |
| რ უ ს ლ ა ნ ი | მ ა რ ი ა მ |
| ვ ა ხ ტ ა ნ გ | ი ლ ი ა |

3. ამოჭერი სიტყვები და შესაფერისი სურათის ქვეშ ჩააწებე (შენიშვნა: ასეთი ტიპის ინსტრუქციებს ვაგებინებთ ჟესტიკულაციით და თვალსაჩინოებით).






1. თოჯინა

2. რობოტი

3. ველოსიპედი

4. ბურთი

5. ველოსიპედი

4. გააფერადე იმ ფერის ფანქრით, რა ფერზეცაა საუბარი დავალებაში:

| | |
|---|---|
| 1. მე მაქვს წითელი ბურთი | 1. მე მყავს რუხი კურდღელი |
| 2. მე მაქვს ლურჯი პასტა | 2. მე მყავს ყავისფერი კუ |

5. სიტყვები ხაზით გამოყავით ერთმანეთისაგან.

მ ზ ე მ თ ვ ა რ ე ხ ე ყ ვ ა ვ ი ლ ი

6. მიუწერეთ სურათს შესაფერისი სურათის ნომერი.

1. ვცეკვავ  2. ვფრინავ  3. ვსვამ  4. ვჭამ

7. ამოჭერი შენი სახელის დასაწერად საჭირო ასოები, რგოლში ჩააწებე და გამოჭერი. დაახატე რაც გინდა. (შენიშვნა: ვაძლევთ ამოსაჭრელ ასოებს. ინსტრუქციის ქართულად ვეუბნებით ჟესტიკულაციისა და თვალსაჩინოებების გამოყენებით).

8. გამოჭერით მუყაო, დააწებე ზედ, ინგლისური ქინძისთავი, დაამაგრე სკოტჩით და დაიმაგრა (ამას მასწავლებლის დახმარებით გააკეთებს მოსწავლე, ასეთი აქტივობების საშუალებიტ მოსწავლე ისმენს და იგებს მეორე ენას).

9. შემოხაზეთ ერთ-ერთი ფერი და იმ ფერად გააფერადე ყვავილი

წითელი

ლურჯი

მწვანე

ყვითელი



10. მოისმინე სიტყვა. გააფერადე ის მარცვალი, რომლითაც იწყება:



| |
|---|
| ვა |
| ბა |
| ბო |
| გა |

11. იპოვე და შემოხაზე მარცვალი, რომელიც შეესაბამება სიტყვის დასაწყისს:



| | | |
|---|---|---|
| ბო | ლო | ვო |

12. დაწერეთ ასოები, რომელსაც გიკარნახებთ:

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

13. დაწერეთ მარცვლები, რომელსაც გიკარნახებთ:

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

## სტანდარტის შედეგების მიხედვით გაწერილი აქტივობები და სავარჯიშოები:

მასალა: „ბურდღუნა დათვი“

დაბურდღუნებს დათვი,
თურმე სტკივა თათი.
– ასე დიდი თათუნა
რამ გატკინა დათუნა?
–სკიდან თაფლი ამოვსვლიპე
და მიკბინა ფუტკარმა.

*ნიკოლოზ ჩაჩავა*

I. ლექსიკის სწავლება











1. მასწავლებელი გამოაკრავს ამ სურათებს. დანომრავს, რამდენჯერმე აჩვენებს და ხმამაღლა გაიმეორებს თითოეულ სიტყვას. შემდეგ დაასახელებს სურათებზე გამოსახულ რომელიმე სიტყვას და ნომერს, მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, სწორია თუ არა;
2. მასწავლებელი არეულად დაასახელებს სიტყვებს, მოსწავლეებმა უნდა თქვან შესაბამისი ნომერი;
3. მასწავლებელი ამბობს მაგ., „ფუტკარი“, ბავშვი მიდის დაფასთან და უჩვენებს შესაბამის თვალსაჩინოებას;
4. მასწავლებელი ნახატებს ჩამოხსნის, ტოვებს მხოლოდ ნომრებს, შემდეგ არეულად ასახელებს სიტყვებს, ბავშვებმა შესაბამისი ნომერი უნდა თქვან;
5. მერე როლები იცვლება: მასწავლებელი ნომერს ამბობს, მოსწავლეები - შესაბამის სიტყვას ასახელებენ

6. მასწავლებელი ჟესტ-მიმიკით განასახიერებს სიტყვებს, მაგ., „თათს“, მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ სიტყვა;
7. მერე მოსწავლეთა ნაწილი განასახიერებს რომელიმე სიტყვას, მეორე ნაწილი ამოიცნობს, შემდეგ გაცვლიან როლებს და ა.შ.
8. ბოლოს, ყველა ერთად ხმამაღლა გაიმეორებს ყველა სიტყვა.

„სიტყვების ყუთი“

- მასწავლებელი სამ ყუთს დებს წარწერებით: „ყველამ იცის“, „ზოგმა იცის“, „არავინ იცის“;
- ერთმანეთში ურევს ამ ტექსტის სიტყვების ნახატებსა და ახალ სიტყვებიანს, მაგ; „დათვი, ფუტკარი, კატა, ძაღლი“ ...
- მასწავლებელი უჩვენებს სურათს, ბავშვები ასახელებენ /ვერ ასახელებენ სიტყვას, მასწავლებელი, მოსწავლეთა მითითებით, შესაბამის ყუთში ყრის ნახატებს;
- შემდეგ შესაძლებელია, ისევ თავიდან გამეორდეს ეს თამაში, სანამ „არავინ იცის“ ყუთი ცარიელი არ დარჩება.

## II. მოსმენა:

1) */„დაბურდღუნობს დათვი, თურმე სტკივა თათი“/*



2) ბავშვი; /„ასე დიდი თათუნა რამ გატკინა, დათუნა?"/



3) /„სკიდან თაფლი ამოვსვლიპე"/



4) /„და მიკბინა ფუტკარმა"/



*მოსმენის აქტივობები:*

1. მოსწავლეები სურათებზე დაყრდნობით გამოთქვამენ ვარაუდებს, რაზეა ტექსტში საუბარი; იქნება სხვადასხვა მოსაზრება, ყველა უნდა იქნას მოსმენილი, შეიძლება მიუთითონ რატომ ფიქრობენ ასე ან ისე.
2. მასწავლებელი ორჯერ კითხულობს ტექსტს ხმამაღლა და გამომეტყველებით, მოსწავლეები თვალს ადევნებენ შესაბამისს სურათებს; არკვევენ ვისი ვარაუდი იყო სწორი

- შემდეგ მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით ამბობს ლექსიდან ფრაზებს, მოსწავლეები ასახელებენ შესაბამისი სურათის ნომერს, განსხვავებული აზრის შემთხვევაში ასაბუთებენ თავის მოსაზრებას, ერთობლივად დგინდება სწორი პასუხი

## III. გამოთქმეზე ვარჯიში

რეპროდუცირებისა და დაზეპირების პროცესი საინტერესოდ რომ წარიმართოს, მასწ ავლებელმა უნდა მიმართოს შემდეგ აქტივობებს:

- გამომეტყველებით, მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებით 2-3-ჯერ უნდა წარმოადგინოს ტექსტი; მოსწავლეები მიმიკით აჰყვებიან;
- მასწავლებელი მიმიკა-ჟესტიკულაციის გარეშე ამბობს ტექსტს, მოსწავლეები ასახიერებენ;
- ტექსტი უნდა დაყოს ნაწილებად და კლასი 2 ჯგუფად. შემდეგ მონაცვლეობით სხვადასხვა ვარიაციით გაამეორებინებს ამა თუ იმ მონაკვეთს: მაგ., დაბურდღუნებს დათვი" მასწავლებელი ამ ფრაზას იტყვის:
    - მეტყველების შენელებით;
    - ხმის ტემბრის დაბოხებით ან დაწვრილებით;
    - სწრაფად
    - ჩურჩულით
    - გამომსახველობით და ა. შ.

მოსწავლეები ჯგუფები ყოველ ჯერზე მიბაძვით გაიმეორებენ:

- მასწავლებელი *ბავშვის ტექსტს* "ასე დიდი დათუნა . . . ) (გამომეტყველებით (სათანადო მიმიკით, ხმის ტემბრით და და ინტონაციით) კითხულობს. მოსწავლეები ბაძავენ მას. მერ: დათვის პარტია, იგივე ხერხების გამოყენებით;
- შემდეგ შეიძლება გათამაშება: გუნდებად დაიყოს კლასი, ერთი ნაწილი იქნება „დათვი"(, მეორე – ბავშვი და თითოეული თავის ტექსტს იტყვის, მერე როლებს გააცვლევინებს;
- პრეზენტაცია გაკეთდეს წყვილებში;
- კლასთან ერთად მთლიანად გამეორება;

შენიშვნა: პატარებს დიდხანს ერთ საკითხზე ყურადღების მობილიზება არ შეუძლიათ, ამიტომ ეს აქტივობა სასურველია ორ გაკვეთილზე გადანაწილდეს.
მომდევნო გაკვეთილებზე კი თითოჯერ მაინც გაიმეორებენ ლექსს.

## IV. კითხვა

*გავაკრავთ სურათებს, რომელთაც ლექსიკის სწავლებისას გამოვიყენეთ;*
ცალკე გვექნება ბარათებზე დაწერილი სიტყვები:

დათვი, თათი, სკა, თაფლი, ფუტკარი.

*აქტივობები კითხვისთვის:*

- მოსწავლე აკვირდება მთლიან სიტყვებს და ცდილობს რომელიმე ამოიცნოს. შედეგებზე მსჯელობა. დავუშვათ ამოიცნო "თათი" შესაბამის ადგილზე გავაკარით. რა ასო გეცნოთ? ვთქვათ, ეცნოთ "თ".
- ვთხოვთ იპოვონ ეს ასო სხვა სიტყვებში. შემდეგ ისევ ეცდებიან სიტყვების ამოცნობას, ვიდრე ყველას არ ამოიცნობენ
- მასწავლებელი სურათების ქვეშ აკრავს შესაბამის სიტყვებს და კითხულობს მათ ხმამაღლა;
- ბავშვები კითხულობენ თითოეულ სიტყვას მასწავლებელთან ერთად;
- შემდეგ მასწავლებელი ტოვებს მხოლოდ სიტყვებს;

ბავშვები მიდიან და სიტყვასთან აკრავენ შესაბამის სურათს, თან წარმოთქვამენ სიტყვას;

- შემდეგ მასწავლებელი ტოვებს მხოლოდ სურათებს;
- ბავშვებს ევალებათ, სურათების ქვეშ შესაბამისი სიტყვები გააკრან და წაიკითხონ ეს სიტყვა;
- ოტოგრაფიული სიტყვა: მასწავლებელი თითო ბარათს, რომელზეც დიდი ასოებით წერია ერთ-ერთი სიტყვა (ვთქვათ - "დათვი") სწრაფად აჩვენებს კლასს და მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ
- შემდეგ გაკვეთილზე მასწავლებელი მოამზადებს ინდივიდუალურ სავარჯიშოს (იხ. სავარჯიშო 1, 4, 6) ან ლოტოს და ბავშვები დამოუკიდებლად ივარჯიშებენ ერთმანეთს სიტყვების და ნახატების დაკავშირებაზე.

აქტივობების მრავალფეროვნების მიზნით, შესაძლებელია სხვა სურათების გამოყენებაც, ამითი უფრო გართულდება სამუშაო და ბავშვებიც უფრო მეტი ინტერესით ამოიცნობენ მათთვის საჭირო სიტყვასა და სურათს.

იმავე სიტყვების გამოყენებით სხვა აქტივობების აგებაც შეიძლება მაგ;

______________________________________________

______________________________________________

- მოძებნე და გააფერადე ლურჯად ყველა „ა“ ასო, წითლად– „თ“ და "ი" - ყვითლად.
- ასოებზე „ნადირობა“, ვაძლევთ ნებისმიერ წიგნს, რომელშიც უნდა მოძებნოს 5 ასო „ი“ და ფანქრით შემოხაზონ, მეორე ჯგუფს მიეცემა შემოსახაზად ასო „თ“ და ა.შ.
- თანაკლასელთა საკუთარ სახელებში ამოიცნონ ეს სამ ასო და იქნებ ეს თვით სახელის ამოცნობაშიც დაეხმაროს

## V. წერა

1. შეიძლება გამოვუწეროთ და ვავარჯიშოთ ამ ასოებზე.
2. დავახატვინოთ ამ თემაზე ნახატი და "გადმოვახატვინოთ" ერთ-ერთი სიტყვა.

მასალა: „ბურდღუნა დათვი“

დაბურდღუნებს დათვი,
თურმე სტკივა თათი.
– ასე დიდი თათუნა
რამ გატკინა დათუნა?

– სკიდან თაფლი ამოესვლიპე
და მიკბინა ფუტკარმა.

## VI. ლექსიკის სწავლება











1. მასწავლებელი გამოაკრავს ამ სურათებს. დანომრავს, რამდენჯერმე აჩვენებს და ხმამაღლა გაიმეორებს თითოეულ სიტყვას. შემდეგ დაასახელებს სურათებზე გამოსახულ რომელიმე სიტყვას და ნომერს, მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, სწორია თუ არა;
2. მასწავლებელი არეულად დაასახელებს სიტყვებს, მოსწავლეებმა უნდა თქვან შესაბამისი ნომერი;
3. მასწავლებელი ამბობს მაგ., „ფუტკარი", ბავშვი მიდის დაფასთან და უჩვენებს შესაბამის თვალსაჩინოებას;

4. მასწავლებელი ნახატებს ჩამოხსნის, ტოვებს მხოლოდ ნომრებს, შემდეგ არეულად ასახელებს სიტყვებს, ბავშვებმა შესაბამისი ნომერი უნდა თქვან;
5. მერე როლები იცვლება: მასწავლებელი ნომერს ამბობს, მოსწავლეები - შესაბამის სიტყვას ასახელებენ
6. მასწავლებელი ჟესტ-მიმიკით განასახიერებს სიტყვებს, მაგ., „თათს", მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ სიტყვა;
7. მერე მოსწავლეთა ნაწილი განასახიერებს რომელიმე სიტყვას, მეორე ნაწილი ამოიცნობს, შემდეგ გაცვლიან როლებს და ა.შ.
8. ბოლოს, ყველა ერთად ხმამაღლა გაიმეორებს ყველა სიტყვა.

## „სიტყვების ყუთი"

- მასწავლებელი სამ ყუთს დებს წარწერებით: „ყველამ იცის", „ზოგმა იცის", „არავინ იცის";
- ერთმანეთში ურევს ამ ტექსტის სიტყვების ნახატებსა და ახალ სიტყვებიანს, მაგ; „დათვი, ფუტკარი, კატა, ძაღლი" ...
- მასწავლებელი უჩვენებს სურათს, ბავშვები ასახელებენ /ვერ ასახელებენ სიტყვას, მასწავლებელი, მოსწავლეთა მითითებით, შესაბამის ყუთში ყრის ნახატებს;
- შემდეგ შესაძლებელია, ისევ თავიდან გამეორდეს ეს თამაში, სანამ „არავინ იცის" ყუთი ცარიელი არ დარჩება.

## VII. მოსმენა

*/„დაბურდღუნობს დათვი, თურმე სტკივა თათი"/*



2) ბავშვი; /*„ასე დიდი თათუნა რამ გატკინა, დათუნა?“*/



3) /*„სკიდან თაფლი ამოვსვლიპე“*/



4) /*„და მიკბინა ფუტკარმა“*/



*მოსმენის აქტივობები:*

1. მოსწავლეები სურათებზე დაყრდნობით გამოთქვამენ ვარაუდებს, რაზეა ტექსტში საუბარი; იქნება სხვადასხვა მოსაზრება, ყველა უნდა იქნას მოსმენილი, შეიძლება მიუთითონ რატომ ფიქრობენ ასე ან ისე.
2. მასწავლებელი ორჯერ კითხულობს ტექსტს ხმამაღლა და გამომეტყველებით, მოსწავლეები თვალს ადევნებენ შესაბამისს სურათებს; არკვევენ ვისი ვარაუდი იყო სწორი

- შემდეგ მასწავლებელი არეული თანმიმდევრობით ამბობს ლექსიდან ფრაზებს, მოსწავლეები ასახელებენ შესაბამისი სურათის ნომერს, განსხვავებული აზრის შემთხვევაში ასაბუთებენ თავის მოსაზრებას, ერთობლივად დგინდება სწორი პასუხი.

## VIII. გამოთქმებზე ვარჯიში

რეპროდუცირებისა და დაზეპირების პროცესი საინტერესოდ რომ წარიმართოს, მასწავლებელმა უნდა მიმართოს შემდეგ აქტივობებს:

- გამომეტყველებით, მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენებით 2-3-ჯერ უნდა წარმოადგინოს ტექსტი; მოსწავლეები მიმიკით აჰყვებიან
- მასწავლებელი მიმიკა-ჟესტიკულაციის გარეშე ამბობს ტექსტს, მოსწავლეები ასახიერებენ

  - ტექსტი უნდა დაყოს ნაწილებად და კლასი 2 ჯგუფად. შემდეგ

მონაცვლეობით სხვადასხვა ვარიაციით გაამეორებინებს ამა თუ იმ მონაკვეთს: მაგ., დაბურდღუნებს დათვი" მასწავლებელი ამ ფრაზას იტყვის:

  - მეტყველების შენელებით;
  - ხმის ტემბრის დაბოხებით ან დაწვრილებით;
  - სწრაფად
  - ჩურჩულით
  - გამომსახველობით და ა. შ.

მოსწავლეთა ჯგუფები ყოველ ჯერზე მიბაძვით გაიმეორებენ

- მასწავლებელი *ბავშვის ტექსტს* "ასე დიდი თათუნა . . . ) (გამომეტყველებით (სათანადო მიმიკით, ხმის ტემბრით და და ინტონაციით) კითხულობს. მოსწავლეები ბაძავენ მას. მერ: დათვის პარტია, იგივე ხერხების გამოყენებით;
- შემდეგ შეიძლება გათამაშება: გუნდებად დაიყოს კლასი, ერთი ნაწილი იქნება „დათვი“, მეორე – ბავშვი და თითოეული თავის ტექსტს იტყვის, მერე როლებს გააცვლევინებს.
- პრეზენტაცია გაკეთდეს წყვილებში;
- კლასთან ერთად მთლიანად გამეორება.

***შენიშვნა***: პატარებს დიდხანს ერთ საკითხზე ყურადღების მობილიზება არ შეუძლიათ, ამიტომ ეს აქტივობა სასურველია ორ გაკვეთილზე გადანაწილდეს.

მომდევნო გაკვეთილებზე კი თითოჯერ მაინც გაიმეორებენ ლექსს.

## . IX. კითხვა

*გავაკრავთ სურათებს, რაც ლექსიკის სწავლებისას გამოვიყენეთ;*
ცალკე გვექნება ბარათებზე დაწერილი სიტყვები:

# დათვი, თათი, სკა, თაფლი, ფუტკარი.

*აქტივობები კითხვისთვის:*

- მოსწავლე აკვირდება მთლიან სიტყვებს და ცდილობს რომელიმე ამოიცნოს. შედეგებზე მსჯელობა. დავუშვათ ამოიცნო "თათი" შესაბამის ადგილზე გავაკარით. რა ასო გეცნოთ? ვთქვათ ეცნოთ "თ".
- ვთხოვთ იპოვონ ეს ასო სხვა სიტყვებში. შემდეგ ისევ ეცდებიან სიტვების ამოცნობას, ვიდრე ყველას არ ამოიცნობენ
- მასწავლებელი სურათების ქვეშ აკრავს შესაბამის სიტყვებს და კითხულობს მათ ხმამაღლა;
- ბავშვები კითხულობენ თითოეულ სიტყვას მასწავლებელთან ერთად;
- შემდეგ მასწავლებელი ტოვებს მხოლოდ სიტყვებს;
- ბავშვები მიდიან და სიტყვასთან აკრავენ შესაბამის სურათს, თან წარმოთქვამენ სიტყვას;
- შემდეგ მასწავლებელი ტოვებს მხოლოდ სურათებს;
- ბავშვებს ევალებათ, სურათების ქვეშ შესაბამისი სიტყვები გააკრან და წაიკითხონ ეს სიტყვა;
- ორთოგრაფიული სიტყვა: მასწავლებელი თითო ბარათს, რომელზეც დიდი ასოებით წერია ერთ-ერთი სიტყვა (ვთქვათ - "დათვი") სწრაფად აჩვენებს კლასს და მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ;
- შემდეგ გაკვეთილზე მასწავლებელი მოამზადებს ინდივიდუალურ სავარჯიშოს (იხ. სავარჯიშო 1, 4, 6) ან ლოტოს და ბავშვები დამოუკიდებლად ივარჯიშებენ ერთმანეთს სიტყვების და ნახატების დაკავშირებაზე.

აქტივობების მრავალფეროვნების მიზნით, შესაძლებელია სხვა სურათების გამოყენებაც, ამითი უფრო გართულდება სამუშაო და ბავშვებიც უფრო მეტი ინტერესით ამოიცნობენ მათთვის საჭირო სიტყვასა და სურათს.

იმავე სიტყვების გამოყენებით სხვა აქტივობების აგებაც შეიძლება მაგ;:

- მოძებნე და გააფერადე ლურჯად ყველა „ა“ ასო, წითლად– „თ“ და "ი" - ყვითლად.
- ასოებზე „ ნადირობა“, ვაძლევთ ნებისმიერ წიგნს, რომელშიც უნდა მოძებნოს 5 ასო „ი“ და ფანქრით შემოხაზონ, მეორე ჯგუფს მიეცემა შემოსახაზად ასო „თ“ და ა. შ.
- თანაკლასელთა საკუთარ სახელებში ამოიცნონ ეს სამ ასო და იქნებ ეს თვით სახელის ამოცნობაშიც დაეხმაროს.

## X. წერა

| |
|---|
| მე მყავს / არ მყავს - მე მაქვს / არ მაქვს<br>შენ გყავს / არ გყავს - შენ გაქვს / არ გაქვს მას ჰყავს / არ<br>ჰყავს - მას აქვს / არა აქვს |

### 1. მოისმინეთ და მიუთითეთ სწორი სურათი!

ტექსტი:

მე მყავს ძაღლი // მე მყავს კურდღელი // მე მყავს კატა // მე ფოტოაპარატი მაქვს





2. მასწავლებელი ეკითხება რამდენიმე მოსწავლეს:

გაქვს კომპიუტერი? შენ გაქვს მობილური? // გყავს კატა? და ა.შ.

3. მასწავლებელი გამოაკრავს სიტყვებს: აქეთ პლაკატზე - **მაქვს** და იქითაზე - **მყავს** თითო სურათით. სხვადასხვა სურათების გროვას დადებს. მოსწავლეები რიგრიგობით გამოვლენ, აიღებენ სურათს; სათანადო პლაკატზე მიაწებებენ და იტყვიან: მე დათვი მყავს და ა. შ.

4. გაითამაშეთ დიალოგები წყვილებში (ფოტოაპარატი, ტელევიზორი, ვიდეო-კამერა, ტელეფონი, რვეული, კალამი).

მასწავლებელი ნიმუშის საჩვენებლად გამოიყვანს მოსწავლეს, ხუთი სურათიდან ერთ-ერთს გადაამალვინებს და ჰკითხავს: ტელეფონი გაქვს? - არა. ვიდეოკამერა გაქვს? - დიახ. მერე როლებს შეცვლიან. შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს, წყვილებში გაითამაშონ იგივე.

5. ჩაატარეთ გამოკითხვა (მოსწავლეები თანაკლასელებს ეკითხებიან

რა აქვთ და რა არა აქვთ და შესაბამისად პლიუს ან მინის სვამენ) : \\გყავს

| თანაკლასელთა სახელები* |  |  |  |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |

***<u>შენიშვნა</u>:** *სახელებს ან მშობლიურ ენაზე დაწერენ ან მასწავლებელი ჩაუწერს*

***შენიშვნა:. მეოთხე კლასიდან ნახატი აღარ არის საჭირო.*

## ᲒᲐᲥᲕᲡ

| სახელი |  |  |  |  |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

*შენიშვნა: მასწავლებელი იგივე ცხრილს აკეთებს დაფაზე, თვითონაც ატარებს გამოკითხვას და ავსებს ცხრილს.*

### 6. ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔᲗ ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ.

მასწავლებელს ერთ-ერთი გამოკითხული გამოჰყავს დაფასთან და მის შესახებ ამბობს: ლეილას აქვს ტელევიზორი, არა აქვს კომპიუტერი.

სანდროს ჰყავს კატა, არ ჰყავს ძაღლი.

მასწავლებელი მიუშვერს თითს ლეილაზე და რამდენიმეჯერ გაამეორებინებს მას: ᲐᲥᲕᲡ; ანალოგიურად - ᲰᲧᲐᲕᲡ. შემდეგ თითო მოსწავლეს სთხოვს მოემზადონ ვინმეზე სასაუბროდ და ისინი თითო თანაკლასელზე მსგავს ფრაზებს შეადგენენ.

ამ აქტივობებს მიეცემათ გაგრძელება კითხვასა და წერაში.

## XI. კითხვა-წერა

სამეტყველო ფუნქცია: მქონებლობა - მოსწავლეს შეუძლია გაიგოს და დაწეროს ვის რა აქვს / ჰყავს

7. წაიკითხე და დაუკავშირე შესაბამისს სურათს.

| | |
|---|---|
| ნახატი** ა ____________ | ნახატი ბ ____________ |
| ____________ | ____________ |

1. მას აქვს კომპიუტერი.
2. მას აქვს ფოტოაპარატი
3. მას ჰყავს კატა
4. მას ჰყავს ძაღლი.

8. თითოეულ სურათს მიუწერე შესაბამისი ფრაზა

9. შეავსე დიალოგი (აქვს / ჰყავს):

გიორგის ------------ ვიდეოკამერა.
ანას --------------- კატა.
ლეილას ------------ მობილური და --------------- ძაღლი.

| სახელი: |  |  |  |  |
|---|---|---|---|---|
| | - | + | - | + |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

10. ცხრილის მონაცემების მიხედვით დაწერეთ თქვენი ერთ-ერთი თანაკლასელის შესახებ.

სამეტყველო ფუნქცია: გემოვნება - მოსწავლეს შეუძლია გაიგოს და თქვას ვის რა საჭმელი რამდენად უყვარს / არ უყვარს.

გამეორება:

| |
|---|
| მე მიყვარს - არ მიყვარს |
| შენ გიყვარს - არ გიყვარს მას უყვარს - არ უყვარს |

| |
|---|
| ძალიან მიყვარს - ☺☺ მიყვარს ------------- ☺ |
| არ მიყვარს ---------- ☹ ვერ ვიტან --------- ☹☹ |

დაფაზე გამოკრულია ნახატები:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
|  |  |  |  |  | | |

11. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, რა უყვართ; რა არ უყვართ.

შემდეგ თვითონ საკუთარ თავზე საუბრობს გამომსახველობით რა როგორ უყვარს / არ უყვარს და შესაბამის უჯრაში შესაბამის კაცუნებს წერს (ძალიან მიყვარს თევზი, ვერ ვიტან რძეს და ა. შ.

12. მოისმინე დიალოგი და ჩაწერე შესაბამისი კაცუნები:

| სახელი: | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

### 13. მოსასმენი ტექსტი:

ლეილას ძალიან უყვარს ბანანი, ვერ იტანს რძეს.

გიორგის უყვარს ქათამი და რძე.

თათას არ უყვარს თევზი და ვერ იტანს რძეს.

ზაზას ძალიან უყვარს ქათამი.

*შენიშვნა: გადასამოწმებლად მასწავლებელი კიდევ ერთხელ წაუკითხავს ტექსტს. შემდეგ შედეგებს შეაჯერებენ და შეასწორებენ.*

### 14. იმუშავეთ წყვილებში:

(ერთი ეკითხება მეორეს - მსხალი გიყვარს? პასუხის შესაბამისად ჩაწერს კაცუნებს, შემდეგ როლებს გაცვლიან):

სახელი ______________________________

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |
|  |  | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |

*შენიშვნა: ნახატები საჭიროებისამებრ ან ჩაიხატება ან არა.*

15. კლასს დაყოფს 2-3-4 გუნდად (გააჩნია მოსწავლეთა რაოდენობას). თითო გუნდს თითო ცხრილს დაურიგებს, შეუვსებელს და ასეთ დავალებას მისცემს. თითო გუნდი თითო ინფორმაციას იტყვის საკუთარი კითხვარიდან. ასე მაგ.

პირველი წევრი - ნანას ძალიან უყვარს კიტრი. სხვა გუნდები კითხვარში ჩაინიშნავენ (ჩაწერენ შესაბამის კაცუნებს და სახელს). ბოლოს მოხდება შედეგების შემოწმება და გამოვლინდება გამარჯვებული გუნდი.
შენიშვნა: შეიძლება ამ აქტივობის მრავალგვარი ვარიაცია - გართულება ან გამარტივება.

16. სხვა ვარიანტი: ყველა საკუთარ კითხვარში ჩუმად ავსებს რა უყვარს ძალიან, რა არ უყვარს, რა უყვარს და რას ვერ იტანს. შემდეგ თამაშობენ წყვილებში გამოცნობაზე:

თითოს სამი თქმა აქვს: ერთი მეორეს ეკითხება:

რა მიყვარს ძალიან? ის სამ ვარიანტს ამბობს, თუ დაამთხვია, ჩაწერს ორ გაღიმებულ კაცუნას შესაბამის უჯრაში. (იმავეს გაიმეორებენ სხვა კითხვებზე - რა მიყვარს? რა არ მიყვარს? რას ვერ ვიტან?; მერე როლებს შეცვლიან).

17. სხვა ვარიანტი: ვაკეთებთ ერთი და იმავე კითხვარის ორ და ა. ოღონდ პირველ ვარიანტს ვაკლებთ იმ ინფორმაციებს, რომელსაც ვდებთ მეორეში, მეორეს ვაკლებთ იმ ინფორმაციებს, რომელიც დევს პირველში.

მეწყვილეები ერთმანეთისგან ზურგშექცეულები კითხვებს უსვამენ, რათა შეავსონ ნაკლული ინფორმაციები, ასე, მაგალითად:

**A** ვარიანტი:

მარიამს:

| | | | |
|---|---|---|---|
| მსხალი ☹☹ | ვაშლი | ატამი ☺ | ბანანი |
| ქათამი | ყველი ☺ | რძე | ტორტი ☺☺ |
| შოკოლადი ☹☹ | მაწონი | კიტრი | თევზი ☹ |

**B** ვარიანტი:

მარიამს:

| | | | |
|---|---|---|---|
| მსხალი | ვაშლი ☺☺ | ატამი | ბანანი ☺ |
| ქათამი ☺☺ | ყველი | რძე ☹ | ტორტი |
| შოკოლადი | მაწონი ☹ | კიტრი ☺ | თევზი ☹ |

ცხადია, მოსწავლეები ერთმანეთის ვარიანტებს ვერ უნდა ხედავდნენ. დიალოგი ასე წარიმართება:

- **B** ვარიანტის მქონე ეკითხება **A** ვარიანტის მქონეს:
- მარიამს შოკოლადი უყვარს? მეწყვილე პასუხობს: ვერ იტანს!

და ა. შ. შემდეგ გადაამოწმებენ.

სამეტყველო ფუნქცია: გემოვნება - მოსწავლეს შეუძლია გაიგოს და დაწეროს ვის რა საჭმელი უყვარს / არ უყვარს.

18. ცხრილის გამოყენებით შეავსე წერილი, რომელსაც მარიამი სწერს თავის ამხანაგს:

| | | |
|---|---|---|
| ვერ ვიტან | ძალიან მიყვარს | არ მიყვარს |

ლეილა! მე ---------------- ტორტი და ქათამი. ------------------ რძე და მაწონი. შოკოლადს და მსხალს ---------------------- !!!

შენ რა გიყვარს?

გკოცნი, მარიამი

19. ამ ნიმუშის მიხედვით მისწერე რომელიმე თანაკლასელს ბარათი და ჩააგდე კლასის საფოსტო ყუთში!

20. დახატე მითითებების მიხედვით:

- დახატე დიდი ნაძვი
- კენწეროში ჩიტი დაახატე
- ცაზე ღრუბელი დახატე
- ნაძვის გვერდით დახატე:
- ბიჭი, რომელიც ბურთს თამაშობს.

21. ამოიკითხე უცნობი სიტყვები:

- ქუდი
- ქურდი
- ჭერი
- არჩევა
- იატაკი

„მჯობნის მჯობნი არ დაილევაო“.

22. წინადადებებს უჯრაში შესაბამისი ნომერი ჩაუწერე:

| | | |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| 4 | 5 | 6 |

23. ჯერ ვარაუდებს ვათქმევინებთ შინაარსზე სურათების მიხედვით. მერე ვთხოვთ მოძებნონ შესატყვისი ფრაზები.

- ქორი გამოჩნდა
- ორი ყვინჩილა ერთმანეთს დაერია
- მყვირალას კლანჭები დაასო და თან წაიღო
- ერთმა მეორეს აჯობა
- გამარჯვებული თივის ზვინზე შეფრინდა და ყვირილი მორთო

24. შევაჯერებთ, ვინ როგორ ამოიცნო. რა სიტყვები დარჩა ამოუცნობი, იქნებ ზოგს ჰქონდეს პასუხი; შემდეგ კონტექსტიდან და სურათებიდან ვეცდებით თვით მოსწავლეებს ამოვაცნობინოთ უცნობი სიტყვების მნიშვნელობა.

25. ვარჯიში ტექსტის გაბმულ კითხვაში. პრეზენტაციები.

26. ავხსნით ანდაზას შინაარსიდან გამომდინარე და ვეცდებით ჯგუფურად მოვიფიქროთ, გავიხსენოთ რაიმე ამბავი, რომელიც ამ ანდაზის არსს გამოხატავს, თ უნდაც სკოლის/კლასის ცხოვრებიდან.

# სავარჯიშოები მოსმენის უნარ-ჩვევების განსავითარებლად

1. სავარჯიშოები, რომლებიც მოსმენას უძღვის წინ.

სატელეფონო საუბარი. მოსწავლეებს წინასწარ ვაწვდით ზოგიერთ ინფორმაციას მოსასმენ ტექსტთან დაკავშირებით: თქვენ მოისმენთ სატელეფონო საუბრის ტექსტს. ზამთრის სესიების შემდეგ თანატოლებთან ერთად ბაკურიანში დასასვენებლად წასული III კურსის სტუდენტი გოგონა ტელეფონით ესაუბრება თბილისში მყოფ დედას. როგორც კი მოსწავლეებს ამ ინფორმაციას მივაწვდით, მათ წარმოდგენაში უცებ გააქტიურდება საუბრის სავარაუდო "სცენარი" პირადი ან თანატოლების გამოცდილებიდან.

ამის შემდეგ მათ ვაცნობთ დავალებას – უნდა გამოთქვან ვარაუდები საუბრის შინაარსთან დაკავშირებით. გამოცდილებიდან გამომდინარე, მოსწავლეები, რა თქმა უნდა ივარაუდებენ საუბრის დისკურსს: უკმაყოფილო დედა საყვედურობს შვილს და რჩევა-დარიგებებით აბეზრებს თავს. შვილი ცდილობს თავი გაიმართლოს და დედას დაუმტკიცოს, რომ სულაც არ არის უყურადღებო, რომ რამდენჯერმე დარეკა სახლში, მაგრამ არავინ უპასუხა.

რა რჩევებს აძლევს დედა შვილს? მოსწავლეები ასახელებენ შესაძლო ვარიანტებს (თავს გაუფრთხილდი, არ გაცივდე, თოვლიანი ტანსაცმლით შენობაში დიდხანს ნუ გაჩერდები, ტანსაცმელი დასველდება და გაგაციებს; დღე-ღამეს ნუ აურევთ, ღამით დაიძინეთ, დღისით კი გარეთ ისეირნეთ, სიგარეტით გაბოლილ ოთახში რომ გძინავთ თორმეტ საათამდე. მარტო ყავის სმა ვერ დაგანაყრებთ, წესიერად ისაუზმეთ და წვნიანით ისადილეთ, კაფეების ნამცხვრით და ხაჭაპურით კუჭს ნუ დაიავადებთ. სახლში დარეკვა ნუ დაგავიწყდებათ, თაკოს, მანანას (იქ მყოფი მეგობრები) მშობლებიც გსაყვედურობენ, არ გვირეკავენო).

შვილის შესაძლო პასუხები: (უყვება დედას, რა შინაარსიანად ატარებენ დროს, ადრე იღვიძებენ, კარგად ჭამენ, ბევრს კითხულობენ და ა.შ.)
დედა-შვილი უთანხმდება ერთმანეთს ჩამოსვლის თარიღზე.

ამის შემდეგ ასმენინებენ სატელეფონო საუბრის ტექსტს და უდარებენ მას მოსწავლეების მიერ გამოთქმულ ვარაუდებს. სთხოვენ მოსწავლეებს, აღნიშნონ, რომელი ვარაუდი დაემთხვა ტექსტს.

II. სავარჯიშოები მოსმენის პროცესში.

## I. სავარჯიშო: კითხვები ინტერვიუს ირგვლივ

მოსწავლეებს ვასმენინებთ ჟურნალისტ მაყვალა ნოზაძის ინტერვიუს ქვემო ქართლის რეგიონის ერთ-ერთი არაქართული სკოლის დირექტორთან.

*ჟურნალისტი:* პირველ ყოვლისა, მოგესალმებით და მადლობას მოგახსენებთ, რომ გამონახეთ დრო ჩვენთან სასაუბროდ. თქვენ ერთ-ერთი ბრძანდებით ამ რეგიონის არაქართული სკოლების დირექტორთაგან, ვისაც მეტ-ნაკლებად შეუძლია ქართულად მეტყველება.

*რესან აბრაგიმოვი:* სამწუხაროდ, ასეა, ადრე არ გვთხოვდნენ ქართულის ცოდნას, დიდად ჩვენც ვერ ვხედავდით საჭიროებას, ქართველებს რუსულადაც მშვენიერად ვაგებინებდით, აქ კომპაქტურად არიან აზერბაიჯანელები დასახლებული და შეხებაც ნაკლები ჰქონდათ ქართველებთან, თანაც რუსული ყველამ იცოდა, თათარმაც, ქართველმაც და ბერძენმაც. მე ცოლი მყავს იმერელი და დიდხანს ვცხოვრობდი ქუთაისში, ასე რომ არ ყოფილიყო, არც მე მეცოდინებოდა ქართული, თუმცა ძალიან კარგად მეც არ ვიცი, ქართული ძალიან ძნელი ენაა, იმდენი ფორმაა, იმდენი გრამატიკა, იმდენი უნდა დაიმახსოვრო და მაინც სწორე ვერ იტყვი, ძნელია.

*ჟურნალისტი:* ბატონო რესან, სასწავლო წელი მალე დაიწყება, როგორ ემზადებით, რა მოაგვარეთ, რა გიჭირთ?

*რესან აბრაგიმოვი:* ცოტა რამე სკოლის საქმეები კი მოვაგვარეთ, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია, იმდენი გვრჩება გასაკეთებელი. შენობა სანახევროდ დანგრეულია, არ გვყოფნის მერხები, შარშან სხვა სკოლებში მორჩენილი მერხები მოგვცეს, მაგრამ რა? III კლასელის მერხზე X კლასელს ხომ ვერ დასვამ? რომ გაგვიჭირდა, შარშან შევიტანეთ ეს მერხები X კლასში, მოსწავლეები სკამებად იყენებდნენ მერხებს, ზემოდან ისხდნენ, ასე მოუწყობელ კლასში როგორ უნდა იმუშაოს მასწავლებელმა, მთელი გაკვეთილი ბავშვების მობილიზაციას უნდებოდა. წარმოიდგინეთ, მოსწავლეებისთვის მშვენიერი გასართობი საშუალებაა ასეთ მერხზე ჯდომა. სოფლის გამგეობა რაიონში გვაგზავნის, რაიონი ისევ სოფელში ან განათლების სამინისტროში. თუ წელსაც არ გვაღირსეს მერხები, გაკვეთილის ჩატარება შეუძლებელი გახდება.

*ჟურნალისტი:* ბატონო რესან, თქვენს რეგიონში, მათ შორის თქვენს სკოლაშიც, ეუთოს მხარდაჭერით განათლების სამინისტრომ ქართული ენის მაღალკვალიფიციური მ,ასწავლებლები გამოაგზავნა, აი უკვე ერთი წელი ხდება, რაც ისინი მუშაობენ, დაეტყო თუ არა მათი ხელი სკოლებს, შესაბამისად მოსწავლეებს და თქვენ პირადად როგორ აფასებთ მათს მუშაობას?

*რესან აბრაგიმოვი:* ეს ნამდვილად კარგი საქმე იყო და ძალიან გვიხარია, როგორც მოსწავლეები, ასე მასწავლებლებიც დიდი გულმოდგინებით შეუდგნენ ქართულის სწავლას, მაგრამ პრობლემები აქაც აუარებელია. სახელმძღვანელო რაც არის, ასე ამბობენ, არ ვარგაო, მაგრამ მე არ მესმის, რომელი სახელმძღვანელო გაამართლებს ისეთ კლასში, რომელშიც ერთმა-ორმა ბავშვმა კარგად იცის ენა, რამდენიმემ – საშუალოდ, ზოგიერთმა – ცოტა, დანარჩენმა კი საერთოდ არ იცის. რომელი სახელმძღვანელო იქნება ასე ყველა ბავშვზე მორგებული? გაკვეთილი სულ ორმოცდახუთი წუთია, რა ქნას მასწავლებელმა? ქართული ტელევიზია და რადიო თვეში ერთხელ თუ ჩაირთვება, მშობლებმა ქართული არ იციან, ასე რომ ბავშვებს მხოლოდ ქართულის გაკვეთილზე ესმით ქართული. ამ პირობებს თუ გავითვალისწინებთ, მათ არაჩვეულებრივი შედეგები აქვთ. რაღაცა უნდა მოვიფიქროთ; აი ჩვენ ვაპირებთ, სამენოვანი სასკოლო რადიოგადაცემები მოვაწყოთ, აზერბაიჯანულად, ინგლისურად და ქართულად. ვნახოთ, რა გამოვა.

*ჟურნალისტი:* წარმატებებს გისურვებთ, ბატონო რესან, გმადლობთ საინტერესო საუბრისთვის.

დავალება: დაასახელეთ კონტექსტი: ვინ ვის ელაპარაკება, სად, როდის, რა თემაზე, მათი სახელები და სქესი, რამდენად იცნობენ ისინი ერთმანეთს, ანუ ოფიციალური, ნეიტრალური თუ არაოფიციალური ფორმაა დიალოგის; რა დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან: თავაზიანი / არათავაზიანი, მეგობრული / არამეგობრული. ფონური ხმაურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სად იმყოფებიან;

2. სავარჯიშო: ამოიცანით მოსმენილი ტექსტის მიხედვით

| |
|---|
| (აქ ხატია სურათი, რომელზეც ოთხი ბავშვია, თითოეულს რაიმე განმასხვავებელი ნიშანი აქვს. სამის აღწერილობა აქვეა მოცემული ტექსტში, ეს სამივე უნდა დაიხატოს აღწერილობის მიხედვით, მეოთხე - როგორც გინდა, ოღონდ წინა სამიდან არცერთს არ უნდა ემთხვეოდეს). |

მოსწავლეებს ასმენინებენ საგანგებო განცხადებას:

"ყურადღება, ყურადღება, გთხოვთ, გულდასმით მოისმინოთ ჩვენი განცხადება!

დღეს, 28 ოქტომბერს, თბილისობის დღესასწაულზე, სამგორის რაიონის 117-ე სკოლა ლაშქრობაზე იყო წასული სოფელ მარტყოფში. მოსწავლეები მარტყოფის ეკლესიაში

დაესწრნენ წირვას, რომლის დამთავრების შემდეგ ყველანი უნდა შეკრებილიყვნენ მარტყოფის საშუალო სკოლის ეზოში. სამი მეექვსეკლასელი გოგონა ჯერ არ გამოცხადებულა. შევეცდებით, აღგიწეროთ მათი გარეგნობა. თუ მსგასი გარეგნობის გოგონებს შეამჩნევთ სადმე, გთხოვთ, აცნობოთ პოლიციის ადგილობრივ განყოფილებას ან დაგვიკავშირდეთ ტელეფონით: 74-45-46, ან 899-34-45-56. 1).

I გოგონა: მაია წაქაძე, 13 წლის, სიმაღლე 1, 35 მ, გამხდარი, ატარებს სათვალეს, აქვს მოკლე წაბლისფერი თმა, აცვია თეთრი პერანგი, ლურჯი ფერის თხელი ქურთუკი, მუქი ყავისფერი შარვალი და რეზინისძირიანი თეთრი ფერის სპორტული ფეხსაცმელი. თან უნდა ჰქონდეს ლურჯი ფერის პატარა ზურგჩანთა.

II გოგონა: მაია ნადირაძე, 13 წლის, გამხდარი, სიმაღლე 1, 30 მ., აქვს ღია წაბლისფერი სმოკლედ შეჭრილი თმა, თაფლისფერი თვალები, მარჯვენა მკლავზე ატყვია დამწერობის ლაქა, აცვია ნაცრისფერი ქურთუკი, ღია ფერის შალის ნაქსოვი ჯემპრი, ლურჯი ფერის ჯინსის შარვალი და ყავისფერი დახურული ფეხსაცმელი.

III გოგონა: თაკო მღებრიშვილი, 13 წლის, სიმაღლე 1, 40 მ., გამხდარი, ატარებს მწვანე შუშებიან სათვალეს, აქვს შავი ფერის ხვეული თმა, უკეთია ყავისფერი თმის სამაგრი (პეპელა, რომელზეც გამობმულია შავი ფერის რეზინი). აცვია მუქი ყავისფერი საწვიმარი ქურთუკი, შალის ჯემპრი, უკეთია თეთრი ფერის შალის კაშნე; აცვია შავი ფერის ჯინსები, ყავისფერი სპორტული ფეხსაცმელები.

ამის შემდეგ მოსწავლეებს ვაძლევთ დავალებას: ახლა თქვენ ხელმეორედ მოისმენთ დაკარგული გოგონების აღწერილობას და სურათზე უნდა ამოიცნოთ თითოეული მათგანი.

3. სავარჯიშო: იმოქმედეთ მოცემული ინსტრუქციის მიხედვით



დავალება: ყურადღებით უსმინეთ ტექსტს და დაათვალიერეთ სურათი, შეავსეთ სურათი ტექსტის მონაცემების მიხედვით, მიახატეთ რაც აკლია ან შემოხაზეთ, რაც ზედმეტია (ანუ ის, რაც ტექსტში არაა).

## გლეხის კარ-მიდამო

დუხჭირმა ცხოვრებამ ყველას და ყველაფერს შეუცვალა სახე, გლეხი გააღარიბა, მისი კარ-მიდამო კი – გააჩანაგა. ოცი წლის წინ ამ ეზოში საშუალო გლეხი ცხოვრობდა, ახლა კი ღარიბ-ღატაკი ცხოვრობს. ოცი წლის წინანდელ კარ-მიდამოზე არაფერს ვიტყვი, ახლანდელი ისე საცოდავად გამოიყურება, რომ ნასახლარი გეგონება. ეზოში დგას ორსართულიანი ქვის სახლი, რომელიც ოდესღაც შეღებილი ყოფილა. ალაგ-ალაგ მარტო საღებავი კი არა, გაჯი და ცემენტიც გადაურეცხავს წვიმას. საღებავგადაცლილი და ამომტვრეული კედლები ბავშვებს სხვადასხვაგვარი წარწერებით აუჭრელებიათ: რეზო + ანა = შეყვარებულებს, შორენა + მანანა = დებს, გია დებილო და ა.შ. რამდენიმე ადგილას ისარგაყრილი გული ხატია და კედელს ქართული ასოებით შესრულებული უცხოენოვანი წარწერები ამშვენებს, მაგალითად ასეთი: თაკო, აი ლავ იუ;

ეზოში არის პატარა მარანი, რომელიც ბზის ბუჩქებითაა შემოღობილი, იქვე, შორ...ახლოს თივის ზვინი დგას, რომელიც ოჯახის მარჩენალის, გაძვალტყავებული ძროხის, ერთადერთი ნუგეშია. ეზოს განაპირას ჭა ამოუთხრია მუყაით პატრონს, ოღონდ მოპირკეთება ვეღარ დაუმთავრებია და უსაფრთხოების მიზნით ხის ფიცრებით გადაუხურავს. ეზოში აქა-იქ მოჩანს ახალდარგული ხეები, ძველი ხეები, როგორც ეტყობა, მკაცრმა ზამთრებმა იმსხვერპლა.

### III. სავარჯიშოები მოსმენის შემდეგ

#### 1. სავარჯიშო ინტერვიუს მოსმენის შემდეგ.

მოსწავლეებს ვასმენინებთ ინტერვიუს, რომელიც სომხურმა ტელევიზიამ ჩამო...რთვა სასომხეთსა და საქართველოში სტუმრად მყოფ ფრანგული მუსიკის ცნობილ ვარსკვლავს, შარლ აზნაურს.

ჟურნალისტი: ბატონო შარლ, თქვენ არაერთგზის დახმარებიხართ სომეხ ხალხს სტიქიური უბედურებებისა და სისხლიანი კონფლიქტების დროს. ყველას ახსოვს ის დიდი მორალური და მატერიალური მხარდაჭერა, რომელიც თქვენ მიწისძვრით დაზარალებულ ლენინაკანელებსა და სპიტაკელებს აღმოუჩინეთ. ამჯერად რა მიზანს ისახავს თქვენი ვიზიტი?

შარლ აზნაური: ამჟამინდელი ვიზიტი ჩემი სომეხი კოლეგების მიერ არის ორგანიზებული; მე სტუმრად ვარ ჩემი წინაპრების სამშობლოში და ვაპირებ რამდენიმე საქველმოქმედო კონცერტი გავმართო სასომხეთის სხვადასხვა ქალაქში, მოვუსმინო სომეხ მომღერლებსაც, დავათვალიერო ისტორიული ძეგლები, შევხდე ადამიანებს, დავესწრო სახალხო დღესასწაულს, რომელიც ხვალ უნდა გაიმართოს.

ჟურნალისტი: როგორც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ საქართველოში გამგზავრებასაც აპირებთ ამის შესახებ რას გვეტყვით?

შარლ აზნაური: დიახ, დაგეგმილი მაქვს, მოვინახულო ჩემი მშობლების სახლი თბილისსა და მესხეთ-ჯავახეთში, სასაფლაო, სადაც ჩემი მშობლები და ნათესავები განისვენებენ. ერთმა ფრანგმა რეჟისორმა საქართველოში, კერძოდ თბილისში, რამდენიმე წლის წინ მხატვრული ფილმის ერთი ნაწყვეტი გადაიღო. მე შემთხვევით ვუსმინე ინტერვიუს ამ ფილმის რეჟისორთან, რომელმაც ახსენა, რომ ეს ნაწყვეტი გადაღებულია თბილისის ერთერთ ძველ უბანში, კერძოდ ლერმონტოვის ქუჩაზე. ეს სწორედ ის ქუჩაა, რომელზეც ჩემი მშობლები ცხოვრობდნენ. სწორედ ამის შემდეგ გამიჩნდა სურვილი, მომენახულებინა ის ადგილები, სადაც ჩემი წინაპრები ცხოვრობდნენ.

ჟურნალისტი: ბატონო შარლ, რა იცით თქვენი წინაპრების ისტორიული სამშობლოს შესახებ?

ამის შემდეგ ვწყვეტთ მოსმენას და მოსწავლეებს ვთხოვთ, ისაუბრონ შარლ აზნაურის სავარაუდო პასუხის შესახებ.

# სავარჯიშოები ლაპარაკის უნარ-ჩვევის განსავითარებლად

## 1. სავარჯიშოები დიალოგების გამოყენებით

**არასრული დიალოგების დასრულება:**

მოსწავლეებს ვაძლევთ დიალოგის მხოლოდ ერთ ნაწილს, ერთი მონაწილის ფრაზებს და ვაძლევთ დავალებას დაასრულონ, შეავსონ დიალოგის ტექსტი.

– ...

– გაგიმარჯოს, თავად როგორ გიკითხო?

– ...

– მართლა? რა გჭირდა?

– ...

– უი, რას მეუბნები, მეც ანალოგიურად ვიყავი, შაკიკი ეგონათ, გაუთავებლად მტკიოდა თავი, ორი თვე მასვეს შაკიკის საწინააღმდეგო წამლები, მაგრამ სულ ტყუილად, ჩიყვი აღმომაჩნდა, თურმე ჩიყვისგან მქონია ტკივილები.

– ...

– როგორ და სისხლის ანალიზის მიხედვით. როცა ჩიყვის ფუნქცია აწეულია ან დაქვეითებული, სისხლში ცვლილებებს იწვევს, მერე უკვე ჰორმონალურ ანალიზებს აკეთებენ და ზუსტად დაადგენენ, საოპერაციო არის თუ ჰორმონებით მკურნალობა იქნება საკმარისი.

– ...?

არა, ოპერაცია არა, საოპერაციო არ არისო, ემკურნალობ და უკეთ ვარ, ექვს თვეში განიკურნებიო, მპირდებიან.

– ...

– ნუ გეშინია, შენც მალე გამოჯანმრთელდები, მთავარია მიზეზი დაადგინონ, მერე მკურნალობა იოლია. აბა შენ იცი, გული არ გაიტეხო.

– ...

– გმადლობთ, აუცილებლად გადავცემ, გაუხარდება.

## 2. სავარჯიშოები როლური თამაშებისთვის

### როლური თამაში სიტუაციის მოდელირებით.

მოსწავლეებს ვთავაზობთ გამოგონილ სიტუაციას, ვუნაწილებთ როლებს და წინასწარ ვეუბნებით, რომ ბოლოს თავადვე უნდა შეაფასონ თამაშის თითოეული მონაწილის მიერ შესრულებული როლი.

სიტუაცია: ნინოწმინდის ერთ-ერთ სკოლაში ნახევარსაათიანი დიდი დასვენებაა და XIა კლასის მოსწავლეები, ორი გოგონა და სამი ვაჟი, სკოლის ეზოში სეირნობენ. ამ დროს მათ ირგვლივ უცნაური ადამიანებისგან წრე იკვრება, მოსწავლეები ალყაში აღმოჩნდებიან, უცებ სკოლის ეზოც გაქრება და ისინი მიხვდებიან, რომ უცხოპლანეტელების გარემოცვაში იმყოფებიან.

დავალება: XIა კლასის მოსწავლეებმა უნდა აუხსნან უცხოპლანეტელებს, რომ თითოეული მათგანი აქ, დედამიწაზე, გარკვეული ფუნქციით ცხოვრობს – ვიღაცის შვილია, ვიღაცის დაა / ძმაა, ვიღაცის მეგობარია, რომ მათთვის ძვირფასია აქაურობა, დედამიწა, მათი სოფელი, სკოლა, ადამიანები და რომ ისინი ვერ დატოვებენ აქაურობას. მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ სიტუაცია: უცხოპლანეტელები უსვამენ მათ კითხვებს იმის გასარკვევად, რატომაა მათთვის დედამიწაზე ცხოვრება ასე მნიშვნელოვანი და რატომ არ უნდათ უცხო პლანეტაზე წასვლა. უცხოპლანეტელების გარემოცვაში აღმოჩენილი ხუთი მოსწავლე სათითაოდ უპასუხებს კითხვებს (თითო მოსწავლე თითო კითხვას). გადარჩება (ანუ დედამიწაზე დარჩება) ის, ვისი პასუხიც დამაჯერებელია. სუსტ მოპასუხეებს უცხოპლანეტელები იტაცებენ.

თამაშის დასრულების შემდეგ მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთის როლებს: ისინი, ვინც კითხვები მოიფიქრეს, აფასებენ, იყო თუ არა და რით იყო დამაჯერებელი / ლოგიკური / ემოცური / შთამბეჭდავი და ა.შ. პასუხები. ისინი კი, ვინც კითხვებს პასუხობდნენ, აფასებენ, რამდენად ამომწურავი / შთამბეჭდავი / ემოციური და ა.შ. იყო კითხვები. იძლეოდა თუ არა დასმული კითხვები საშუალებას, უცხოპლანეტელები გარკვეულიყვნენ საქმის არსში, ანუ რამდენად ადეკვატური იყო კითხვები. ბოლოს ორივე მხარე სხვადასხვა თვალსაზრისით აფასებს მათ მიერ მოდელირებულ სიტუაციას: რამდენად ძნელი / იოლი იყო, საინტერესო / უინტერესო იყო მათთვის, კარგად / ცუდად ჩაიარა, სიამოვნება მიიღეს / ვერ მიიღეს, სასარგებლო / უსარგებლო იყო და ა. შ.

# სავარჯიშოები კითხვის უნარ-ჩვევების განსავითარებლად

1. ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და აღადგინე გამოტოვებული სიტყვები.

ოლიმპიური თამაშები საერთაშორისო . . . . . . . . . შეჯიბრებებია, რომელიც ოთხ . . . . . . . . . ერთხელ იმართება სხვადასხვა ქვეყანაში. თამაშებზე თავს იყრიან მსოფლიოს საუკეთესო . . . . . . . . . . . . ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან . . . . . . . ოცზე მეტ სახეობაში. გამარჯვებული სპორტსმენი . . . . . მედალს იღებს, მეორე ადგილზე გასული . . . . . . . მედლით ჯილდოვდება, ხოლო . . . . . . ადგილის მფლობელი – . . . . . . . . მედლით.

2. შენს წინაშეა აკაკი წერეთლის ლექსი "ქრიშობისთვე". ის არეულად არის მოწოდებული. დაალაგე სტრიქონები ლოგიკური თანამიმდევრობით, დანომრე და წაიკითხე. ნახე, რა გამოგივიდა (უცნობი სიტყვების ახსნა შეგიძლია იპოვო სავარჯიშოს ბოლოს).

თებერვალი თანახმაა,
მარტი დგება შარზედაო.

ენკენისთვე გააგრძელებს,
დაუბრუნებს ყოლიფერსო.

გაამზევეთ თქვენი ქურქი,
გადაჰკიდეთ სარზედაო.

ქრიშობისთვე ქურქს იკერავს,
ზედ გამოჭრილს ლარზედაო.

თიბათვე გულს მოუქარგავს,
მკათათვე ღილს დააჭერსო.

აპრილია გულმოსული:
მოგადგებით კარზედაო!

ღვინობისთვე დააცივებს,
რთველში კათხას დაიჭერსო.

იანვარი ეცილება,
მეც მომასხი მხარზედაო.

მარიობისთვე დასიცხავს,
გაუხუნებს ყვითელ ფერსო.

გიორგობისთვე ქორწილში
ეტყვის "მრავალჟამიერსო!"

მაისი თვალმშვენიერი
კაბას იცვამს ფერად-ფერსო.

ლექსიკონი:

გიორგობისთვე – ნოემბერი
ენკენისთვე – სექტემბერი
თიბათვე – ივნისი
მკათათვე – ივლისი
მარიობისთვე (მარიამობისთვე) – აგვისტო
ქრიშობისთვე (ქრისტეშობისთვე) – დეკემბერი
ღვინობისთვე – ოქტომბერი
ყოლიფერს – ყველაფერს

3. ყურადღებით წაიკითხე ეს სამი პატარა ტექსტი შენთვის ნაცნობ "მეგობრებზე" და შეავსე მოცემული სქემა (იხილე სქემა №1).

## დელფინი

ზღვის ბინადართა შორის დელფინი ყველაზე ჭკვიანი ძუძუმწოვარა ცხოველია. იგი ოცდაათ წლამდე ცოცხლობს. დელფინს მონაცრისფრო-მოლურჯო შეფერილობა აქვს. იგი რძით კვებავს თავის ნაშიერებს, თვითონ კი პატარ-პატარა თევზებით იკვებება.

დელფინი თვინიერი და გონიერი არსებაა, რის გამოც ადამიანი მას ადვილად წვრთნის. თუ დელფინებმა შეამჩნიეს, რომ ადამიანი წყალში იძირება, გვერდით უდგებიან და სამშვიდობოს გაჰყავთ.

დელფინები სხვადასხვა ბგერას გამოსცემენ, თითქოს ერთმანეთს ელაპარაკებიანო. შუძლიათ ადამიანის მიერ წარმოთქმული სიტყვების გამეორება.

## ჟირაფი

ჟირაფი ხმელეთის ყველაზე მაღალი ძუძუმწოვარა ცხოველია. მისი სიმაღლე ექვს მეტრს აღწევს. იმდენად გრძელი კისერი აქვს, რომ ხმას ვერ გამოსცემს. სამაგიეროდ, უნიკალური სმენა და ყნოსვა აქვს, რის წყალობითაც საფრთხეს უმალ გრძნობს და თავს გაქცევით შველის. მშიშარა და ფრთხილია. იგი ისე სწრაფად და მსუბუქად დარბის, შეუძლია ცხენსაც კი გაუსწროს.

ჟირაფი სამხრეთის ცხელ ქვეყნებში ბინადრობს. იგი ხის ფოთლებითა და ტოტებით იკვებება. თვალს ატკბობს მისი შეფერილობა: მოყვითალო ბეწვზე მოყავისფრო-მოშავო ხალები.

## თეთრი დათვი

თეთრი დათვი ყინულოვანი მხარის – არქტიკის ბინადარია. იგი ამ ადგილის ყველაზე დიდი ძუძუმწოვარა ცხოველია. ქათქათა თოვლზე თეთრი დათვი თითქმის შეუმჩნეველია, მხოლოდ ცხვირი აქვს შავი, რომელსაც, როცა სელაპს ეპარება, წინდახედულად თათით იფარავს.

იკვებება თევზებით, ფრინველისა და ცხოველის ხორცით. ნადავლის ძებნაში კილომეტრებს გაივლის, ყინულივით ცივ წყალში ჩახტება და გაცურავს. განსაკუთრებით საშიშია, როცა მშიერია.

ქარბუქის დროს თეთრი დათვი მცირე ზომის ბუნაგს გამოთხრის და იქ ქარბუქის ჩადგომამდე მშვიდად სძინავს.

სქემა №1

| | ცხოველის ტიპი | სად ცხოვრობს | როგორ გადაადგილდება | რით იკვებება | გამორჩეული თვისება |
|---|---|---|---|---|---|
| დელფინი | | | | | |
| ჟირაფი | | | | | |
| თეთრი დათვი | | | | | |

4. შეაერთე ისრებით მოცემული ნიმუშის მიხედვით.

სად რის ნახვა შეიძლება?

სასურსათო მაღაზიაში

| ბურთი, ბოტასები, ჩოგბურთის ჩოგანი |
|---|

| ყველი, ძეხვი, კეტჩუპი, პური |
|---|

| სპექტაკლი "ფიფქია და შვიდი ჯუჯა" |
|---|

| თანამედროვე მხატვართა ნახატები |
|---|

სპორტულ მაღაზიაში

მუზეუმში

კინოთეატრში

ბიბლიოთეკაში

საკანცელარიო მაღაზიაში

სურათების გალერეაში

თეატრში

| რვეულები, ფანქრები, ბლოკნოტები |
|---|

| მხატვრული ფილმი "მაია წყნეთელი" |
|---|

| შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსნის" 1887 წლის გამოცემა |
|---|

| ძველი ქართული მონეტები |
|---|

5. ყურადღებით წაიკითხე მენიუ და მის საფუძველზე შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი: რა ღირს თითოეული აქ ჩამოთვლილი კერძი და-სასმელი.

## მ ე ნ ი უ

*ცხელი კერძები:*

ქაბაბი - 3,00;

ჩაშუშული – 2,50;

მწვადი – 3,00;

შემწვარი კარტოფილი – 1,00;

კალმახი- 8,00;

*ცივი კერძები:*

*სოკო – 5,00;*

*სალათი "ქალაქური";*

*უალკოჰოლო სასმელები.*

*ლიმონათი – 0,50;*

*ბორჯომი – 1,00;*

*ალკოჰოლიანი სასმელები:*

*ღვინო "რქაწითელი" – 2,50;*

*კონიაკი "სარაჯიშვილი" – 11,00/*

*დესერტი:*

*ხილი – 3,00;*

*ნამცხვარი – 0,80.*

| რას აკეთებს? | რა/ვინ? |

ბ)

| |
|---|
| კატა. დედა. მაგიდა. სკოლა. ბებია. მამა. მასწავლებელი. ძაღლი. წიგნი. ყვავილი. ეზო. ძმა. მოსწავლე |





რა?

ვინ?

გ)




8. ჩასვით ბლოკში მოცემული სიტყვები კონტექსტის შესაბამისად:

| |
|---|
| სახლში. დაფაზე. ზღვაში.<br>ზღვაზე. ეზოში. ხეზე.<br>ხესთან. |

დედა არის <u>სახლში.</u>

ბავშვი წერს ———

ბიჭი ცურაობს ———

ოჯახი ისვენებს ______

გოგონა თამაშობს ______

ჩიტი ზის ______

ძაღლი დგას ______

9. ბლოკში მოცემული ზმნები საწყის ფორმებშია. აირჩიეთ და ჩასვით ისინი შესაბამისი ფორმით კონტექსტი მიხედვით:

ა)

| კითხვა. წერა. თამაში. ბანაობა. ყურება. ყიდვა. სწავლა. დალაგება. მუშაობა. აშენება |
|---|

ბავშვი <u>კითხულობს</u> წიგნს.

მოსწავლე ______ დავალებას.

გოგონა ______ ეზოში.

ჩვენ ______ ზღვაში.

ისინი ______ ფილმს.

თქვენ ______ ხილს.

შენ ______ გაკვეთილს.

დედა ______ სახლს.

ის ———————————— სკოლაში.

მე ———————————— სახლს.

ბ)

კითხვა. წერა. თამაში.
კეთება. ყიდვა.
დალაგება.

მამამ <u>წაიკითხა</u> წიგნი.

ბიჭმა ————————— წერილი.

გოგონამ —————————- ეზოში.

მოსწავლემ ————————— დავალება.

მან ————————— ჩანთა.

დედამ ————————— სახლი.

გ)

წაიკითხოს. გააგზავნოს. ითამაშოს.
შეასრულოს

მამამ უნდა <u>წაიკითხოს</u> წიგნი.

ბიჭმა უნდა ————————— წერილი.

გოგონამ უნდა —————————- ეზოში.

მოსწავლემ უნდა ―――――――― დავალება.

მან უნდა ―――――――――― ჩანთა.

დედამ უნდა ―――――――――― სახლი.

10. ბლოკში მოცემული ფორმებიდან შეარჩიეთ კონტექსტის შესატყვისი და ჩასვით.

ა)

| |
|---|
| წაიკითხოს. წაუკითხავს. წაიკითხა. |

დედა ―――――― წიგნს. მამამ უკვე ―――――― ეს წიგნი. გიორგისაც ―――――――― იგი.

ბ)

| |
|---|
| წერს. დაწეროს. დაწერა. |

ანამ გუშინ წერილი ――――――. ის დღესაც ―――――― წერილს. მისმა ძმამ კი ხვალ უნდა ―――――――― იგი.

გ)

| |
|---|
| ისწავლა. ისწავლოს. სწავლობს. |

შოთა ―――――――― ქართულს. მისმა მეგობარმა უკვე ――――――. შოთას პატარა ძმამაც უნდა ―――――――― იგი.

დ)

| |
|---|
| მამა, დედა, მამამ |

მაგიდასთან ზის ———————— და წერს. ———————— ტელევიზორს

უყურებს. ———————————— დაამთავრა წერა და ადგა.

ე)

| |
|---|
| დედამ. მამა. მამამ. დედა. |

———————— და ———————— წავიდნენ. ———————— ლამაზი კაბა

იყიდა, ———————————— კი- შარვალი.

11. ბლოკში მოცემული სიტყვები ჩასვით შესაბამისი ფორმით კონტექსტის მიხედვით.

| |
|---|
| ძაღლი. კატა. მამალი კაცი. |

———————— დაიყეფა. ———————— დაიკნავლა. ———————— დაიყივლა.

———————— დაიყვირა.

12. წინადადებებში ხაზგასმულ სიტყვებში იპოვეთ შეცდომა და გაასწორეთ:

ა) 1. ოთახში ბავშვმა შემოვიდა.

ოთახში ________ შემოვიდა.

2. დედამ სახლს ალაგებს.

________ სახლს ალაგებს.

3. გიორგიმ მღერის, ანას ცეკვავს, შოთამ კი თამაშობს.

________ მღერის, ____ ცეკვავს, ________ კი თამაშობს.

ბ) 1. თინა მასწავლებელი დაფაზე დავალებას დაწერა.

______________________________

1. ბაბუა გაზეთს წაიკითხა.

______________________________

2. გიორგი ეზოში ითამაშა.

______________________________

4. დედა საჭმელს გააკეთა.

______________________________

| | |
|---|---|
| ვინ არის ის? | მე მქვია შოთა. |
| ის რამდენი ისაა? | გმადლობთ, კარგად. |
| რა გქვია შენ? | მე ვარ 10 წლის. |
| როგორ ხარ? | ეს არის წიგნი. |
| რა არის ეს? | ის არის 5 წლის. |
| რამდენი წლის ხარ? | ის არის მაია. |

*მარცხენა სვეტში შეკითხვებია, მარჯვენაში კი შესაბამისი პასუხები არეულად. ამოიცანით კონკრეტული შეკითხვის კონკრეტული პასუხი და შეაერთეთ ხაზებით

13. ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ. ᲛᲝᲫᲔᲑᲜᲔᲗ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲤᲠᲐᲖᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲡᲬᲝᲠᲔᲗ:

— გამარჯობა!
— გაგიმარჯოს!
— როგორ ვარ?
— გმადლობ, კარგად. შენ როგორ ხარ?
— მეც კარგად.
— ნახვამდის
— კარგად იყავი!

14. ᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ ᲓᲐᲐᲚᲐᲒᲔᲗ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ:

ა)

—გმადლობთ, კარგად. თქვენ როგორ ბრძანდებით?—გამარჯობათ, მე ელენე ვარ
—გაგიმარჯოს ელენე, როგორა ხარ? — ________________
— გამარჯობათ, მე ელენე ვარ. — ________________
— მეც კარგად! — ________________

ბ)

— კარგად, შენ? — დილა მშვიდობისა!
— გამარჯობა, როგორა ხარ? — ________________
— უკვე ცხრის ნახევარია. — ________________
— სკოლაში მიდიხარ? — ________________
— დილა მშვიდობისა! — ________________
— მეც კარგად — ________________
— ჰო, რომელი საათია? — ________________

გ)

— რასაც ინებებთ, ყველაფერი — ________________
— კი, ბატონო, დამელოდეთ — ________________
— თქვენ რა გაქვთ? — ________________
—გამარჯობათ,რას მიირთმევთ? — ________________
— მარტო ყავა და ნამცხვარი — ________________
— მომიტანეთ — ________________

15 შეავსეთ გამოტოვებული ადგილი "არის" ზმნის საჭირო ფორმით:

3. ვინ ——— მე?
4. როგორ ——— შენ?
5. რა ——— ის?
6. ჩვენ ——— კარგად.
7. ——— თქვენ კარგად?
8. ვინ ——— ისინი.

16. ჩასვით შესაბამისი ნაცვალსახელები:

9. ——— მქვია ნინო.
10. ——— გქვია შოთა?
11. ——— ჰქვია ლელა.
12. ხართ ——— მეგობრები?
13. არა, ——— არ ვართ მეგობრები.
14. ვინ არიან ———?

17. მოძებნეთ და სწორად შეაერთეთ ბლოკში მოცემული ფორმები:

| |
|---|
| თამაშობ. ისინი. თამაშობთ. მე. თამაშობენ. თქვენ. ვთამაშობ. შენ. თამაშობს. ის. |

1. მე ვთამაშობ.
2. ———
3. ———
4. ———
5. ———
6. ———

18. მოცემული სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

| | | | |
|---|---|---|---|
| მე ვარ | როგორ ხარ? | ნინო | ეს არის |
| შენ | მაია | და გქვია? | ხართ |

1. მე ვარ მაია.

2. ______________

3. ______________

4. ______________

* ბლოკში მოცემული სიტყვების გამოყენებით თქვენ შეგიძლიათ შეადგინოთ 4 წინადადება.:

| |
|---|
| მზე. კატა. ქვეშ. და. ეზოში. ზის. ანათებს. თამაშობენ. ხის. ბავშვები. ცაზე. ჩემი. პატარაა. |

5. მზე ______________________________

6. —— ზის ________________________

7. ____________________________ ეზოში.

8. ჩემი ______________________________

საად ზის თუთიყუში?



19. დააკვირდით სურათს და ბლოკში მოცემული თანდებულების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

| |
|---|
| ზე. ქვეშ. უკან. გვერდით. |

1. თუთიყუში ზის სურათის ქვეშ.

2. ______________________

3. ______________________

4. ______________________

<u>რას აკეთებს ბაყაყი?</u>

1.



ბაყაყი ზის ჩანთაზე

2.



ბაყაყი ხტება ჩანთაში

3.



ბაყაყი ჩანთის ქვეშაა შემძვრალი.

20. სურათებსა და წინადადებებს შორის შეუსაბამობაა. გაასწორეთ ეს შეუსაბამობა და დასვით შესაბამისი რიცხვები.

დააკვირდით ნახატებს და მისი საშუალებით შეადგინეთ მოკლე ტექსტი.



თეთრი პატარა ძაღლის ლეკვი შავი ცხვირით.



ლეკვი სახლის ღია კარებიდან იპარება.



ლეკვი ეზოშია და გაოცებული იყურება.



ლეკვი ეზოში მოთამაშე ბავშვებთან მივიდა.



ლეკვი წყლით სავსე პატარა აუზში ჩახტა.



ლეკვი მანქანის ქვეშიდან იყურება.



ლეკვმა ეზოს კარები ღია დაინახა და ეზოდან გადის.

22. გამოიყენეთ ფანტაზია და ცოდნა და ტექსტი დაასრულეთ ისე, როგორც გსურთ.

23. შეადგინეთ დიალოგები მოცემულ სიტუაციებზე და გაითამაშეთ წყვილებში.

1. სატელეფონო საუბრები
2. ბილეთის რიგში
3. კაფეში

4. მაღაზიაში

5. შესვენებაზე

6. ფეხბურთის მატჩზე.

24. დაასრულეთ მოცემული დიალოგები და გაითამაშეთ წყვილებში.

### 1. სატელეფონო საუბარი

— ალო, გისმენთ!

— გამარჯობათ, მე —— ვარ, თუ შეიძლება ——— სთხოვეთ?!

— გამარჯობათ, —————

— ————————————

— ————————————

— ————————————

### 2. ბილეთების რიგში

— ვინ არის ბოლო?

— მე გახლავართ.

— მე თქვენს შემდეგ ვიქნები!

— ————————

— ————————

— ————————

### 3. კაფეში

— გამარჯობათ, მენიუ გაქვთ?

— გამარჯობათ, დაბრძანდით და მოგართმევთ.

— რას შეუკვეთავ?

— ————————

— ————————

— ————————

4. მაღაზიაში

— პური ახალია?

— დიახ, გნებავთ?

— მომეცით. . .

— ______________________

— ______________________

— ______________________

# დააკვირდით საკუთარ თავს, როგორც ენის შემსწავლელი

1. ოდესმე აწარმოებდით მოსწავლის დღიურს ან ჟურნალს? თუ გქონიათ ასეთი რამ, რას იწერდით მასში? თუ არა, მაშინ როგორ ფიქრობთ, რაში შეიძლება დაგეხმაროთ ჟურნალი ან დღიური ენის შესწავლისას?

2. როგორ მიაღწიეთ გამოცდილების თქვენს ამჟამინდელ დონეს მეორე ან უცხო ენაში ? რა ტექნიკურ საშუალებებს იყენებდით? რა როლი შეასრულა ენის შესწავლაში კლასგარეშე მუშაობამ?

3. რას ჩაწერდით თქვენს საკუთარ დოსიეში მეორე ან უცხო ენაში თქვენი გამოცდილების ნათელსაყოფად? გაითვალისწინეთ სხვა ენებიც, რომლებშიც მიაღწიეთ შეზღუდულ ან ნაწილობრივ კომპეტენციას.

4. ყურადღებით ჩახედეთ თვითშეფასების ტაბულას და სცადეთ მისი შევსება იმ უცხო ენებისთვის, რომლებსაც ფლობთ. ახლა გაიმეორეთ იგივე საილუსტრაციო სკალისა და თვითშეფასების საკონტროლო ფურცლების გამოყენებით.

5. შეეცადეთ განსაზღვროთ თქვენი მთავარი მიზნები იმ ენობრივი ჩვევების ფარგლებში, რაც გინდათ რომ მიიღოს თქვენმა მოსწავლემ. რა გსურთ, რომ შეიტანოს მან თვალსაჩინოების სახით თავის დოსიეში, რათა მიაღწიოს თქვენს მიერ დასახულ მიზანს.

6. კიდევ ერთხელ დააკვირდით საილუსტრაციო სკალას და თვითშეფასების საკონტროლო ფურცლებს. რას ისურვებდით, რომ თქვენმა მოსწავლეებმა ჩაწერონ გრაფაში « მე შემიძლია » სასწავლო/აკადემიური წლის ბოლოს?

*7. გავუზარდოთ მოსწავლეს საკუთარი თავის მიმართ პატივისცემის გრძნობა*

8. ჩაატარეთ მოსწავლეებთან დისკუსია ფორმულის «მე შემიძლია» გარშემო. ამ დროს შეეცადეთ, რომ მათი აზროვნება წარმართოთ დადებითი მიმართულებით. სთხოვეთ თქვენს მოსწავლეებს წარმოიდგინონ, რომ ისინი არიან შესასწავლი ენის მატარებელთა შორის. დაეხმარეთ მათ გაიზიარონ, თუ რამდენად შეუძლიათ ამ ენის გამოყენება. შეეცადეთ, რომ დაძლიონ რაც შეიძლება მეტი ფორმულა «მე შემიძლია» (მაგ. მე შემიძლია წარმოგიდგინოთ ჩემი თავი; მე შემიძლია ადამიანების მოკითხვა და რეაგირება მათ პასუხზე; მე შემიძლია გავიგო მარტივი მითითებები; მე შემიძლია გავიგო მარტივი შეტყობინება საფოსტო ბარათზე). მიაწოდეთ მათ შესასწავლი ენის ის გამოთქმები, რაც დასჭიდებათ ამ სამუშაოსთვის.

*9. რას ნიშნავს კარგი დოსიე?*

10. განიხილეთ თქვენს მოსწავლეებთან, თუ როგორი უნდა იყოს კარგი დოსიე. გამოჰკითხეთ, თუ რა თვალსაჩინოების ჩვენება შეუძლიათ თავიანთი ენობრივი გამოცდილების წარმოსაჩენად (მაგ. მათი დაწერილი საფოსტო ბარათები, წერილები, ესეები, პროექტები, აუდიო ან ვიდეო ჩანაწერები, მათი წაკითხული წიგნების სია, სერთიფიკატები, დიპლომები და ა.შ.). რის შეტანას აპირებენ მოსწავლეები თავიანთ დოსიეში ? გაამხნევეთ ისინი და დაეხმარეთ მასალის შერჩევაში.

## *ენობრივი ბიოგრაფიის ერთი ფუნქცია*

1. თქვენს მოსწავლეებთან ერთად განიხილეთ მათი ენობრივი გამოცდილების გაუმჯობესების გზები. გამოჰკითხეთ რა ინტერკულტურულ გამოცდილებას ფლობენ : კლასის გარეთ აქვთ თუ არა კავშირი შესასწავლ ენობრივ გარემოსთან და რა ცოდნას იძენენ ამგვარი შეხვედრებით. აუხსენით თქვენს მოსწავლეებს, რომ მათ შეუძლიათ ბიოგრაფიაში ჩაიწერონ საინტერესო შეხვედრები და ასევე ფაქტები, რომლებსაც ისინი მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ენის შესწავლის პროცესში.

*უცხო ენის შესწავლა კლასის გარეთ*

2. მოუწყეთ თქვენს მოსწავლეებს შეხვედრა და ინტერვიუ შესასწავლი ენის მატარებელთან. ინტერვიუზე დაყრდნობით შეადგინეთ ცნობების ჩამონათვალი, ოჯახის, სკოლის, ჰობისა და მისწრაფებების შესახებ. შემდეგ დაავალეთ მოსწავლეებს ამ ცნობების მიხედვით ესაუბრონ ერთმანეთს ამ პიროვნების შესახებ. თუ მათთვის საინტერესო იქნება, ამ სახის ინტერვიუები შეიძლება შეიტანონ თავიანთ დოსიეში.

*საშინაო დავალება*

3. სთხოვეთ თქვენს მოსწავლეებს სახლში დაფიქრდნენ იმ საშუალებებზე, რაც დაეხმარება ენის შესწავლაში. წაახალისეთ ისინი, რომ გაკვეთილზე ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი მოსაზრებები. ყურადღებით მოეკიდეთ შემსწავლელთა ნააზრევს. საინტერესო წინადადებები მოათავსეთ პლაკატზე.

*ყურადღების გამახვილება ჯგუფურ სწავლებაზე*

4. მასწავლებლების დავალებით მოსწავლეები წყვილდებიან მოკლე მონოლოგზე სავარჯიშოდ (მაგ. A1 - *მე შემიძლია გამოვიყენო მარტივი ფრაზები და წინადადებები, რომ აღვწერო ჩემი საცხოვრებელი ადგილი და ჩემი ნაცნობები*). მასწავლებელი განუსაზღვრავს მათ დროს (მაგ. 1 წუთი) და უხსნის, რომ ერთ-ერთი მათგანი უნდა წარსდგეს მონოლოგით მაშინ, როცა მეორე - მასწავლებლის როლში, ინიშნავს დროს და ყურადღებით უსმენს, რომ შეაფასოს. მის შემდეგ პარტნიორები ცვლიან როლებს.

5. მოსწავლეებმა შეიძლება შექმნან ოთხწევრიანი ჯგუფები და იგივე მეთოდის გამოყენებით ივარჯიშონ მოკლე დიალოგებზე (*მაგ. A2 ისაუბრონ თუ რას აკეთებენ საღამოობით, შაბათ-კვირას*).

6. ვიდრე მოსწავლეები დაიწყებენ ამ დავალების შესრულებას, მასწავლებელი ეხმარება იმ კრიტერიუმების განსაზღვრაში, რის მიხედვითაც ერთმანეთი უნდა შეაფასონ. ამასთანავე, მასწავლებელი ყურადღებას უმახვილებს იმ სპეციფიკურ მომენტებზე, რაზეც განსაკუთრებით უნდა იმუშაონ.

*შეაჩვიეთ თქვენი შემსწავლელები, რომ თვითონ შეადგინონ საკუთარი სასწავლო მასალები*

7. საილუსტრაციო სკალასა და თვითშეფასების საკონტროლო ფურცლებზე დაყრდნობით შეარჩიეთ ფორმულა *"მე შემიძლია"*, რომელიც მიესადაგება თქვენი მოსწავლეების ცოდნის დონეს. დაყავით ჯგუფი წყვილებად და დაავალეთ სავარჯიშოების მომზადება თავიანთი კლასელებისათვის. მაგალითად, თუ თქვენი მოსწავლეები არიან A2 დონეზე, შეგიძლიათ მიზნად დაუსახოთ შემდეგი დესკრიპტორის დაძლევა - *"მე შემიძლია ციფრული მონაცემების, ილუსტრაციისა და სათაურის შემცველი საგაზეთო სტატიებიდან ჩემთვის აუცილებელი ინფორმაციის მიღება"* (თვითშეფასების საკონტროლო ფურცელი A2 წაკითხვა). სთხოვეთ თითოეულ წყვილს დაწეროს 5 სწორი/არასწორი წინადადება ან ხუთი ამომწურავი შეკითხვა იმ ტექსტიდან, რომელიც მთელმა კლასმა წაიკითხა, შემდეგ გვერდზე მსხდომი წყვილები ერთმანეთს გაუცვლიან შეკითხვებს.

8. მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ მეცადინეობის ეს ფორმა მოსწავლეებმა შეიძლება გამოიყენონ ენის ცოდნის ნებისმიერ დონეზე. ჩვენს მიერ შერჩეული მაგალითი ითვალისწინებს როგორც წაკითხვის, ასევე წერის დროს ყურადღების გამახვილებას ენობრივ ფორმებზე. დაბეჯითებით გააფრთხილეთ თქვენი მოსწავლეები, რომ რაც შეიძლება ნაკლები შეცდომები დაუშვან. გაამხნევეთ ისინი, რომ ერთმანეთს დაეხმარონ შეცდომების მიგნებასა და მათ შესწორებაში და ნებისმიერი საეჭვო საკითხი გადაამოწმონ მასწავლებელთან.

*შეაჩვიეთ თქვენი შემსწავლელები, რომ შექმნან სამუშაოების ფორმათა ბანკი*

9. თუ თქვენი მოსწავლეები რეგულარულად ადგენენ ასეთ სავარჯიშოებს ერთმანეთისთვის, თქვენ თანდათან შეგიძლიათ შექმნათ მოსწავლეების მიერ შემოთავაზებული სასწავლო სამუშაოების ბანკი. კლასში მოფიქრებული სავარჯიშოები მოსწავლეებმა სახლში სუფთად

უნდა გადაწერონ და სადაც საჭიროა, შესაფერისი გასაღები ან განმარტება უნდა დაურთონ. სავარჯიშოები დაიყოფა ენობრივი ჩვევებისა და დონეების მიხედვით და დალაგდება ისე, რომ შემსწავლელთათვის ადვილად მისაწვდომი იყოს. გააკონტროლეთ, რომ მოსწავლეებმა მუდმივად შეავსონ ბანკი. დაავალეთ მათ, რომ ორ კვირაში ან თვეში ერთხელ სახლში სამუშაოდ წაიღონ ხოლმე სავარჯიშო ამ ბანკიდან.

*ინტერვიუ ენის მატარებელთან*

10. ენის შესწავლა მიმდინარეობს როგორც კლასში, ასევე კლასის გარეთაც. მოუწყვეთ თქვენს მოსწავლეებს შეხვედრა და ინტერვიუ შესასწავლი ენის მატარებელთან. დაყავით კლასი ოთხ-ხუთ წევრიან ჯგუფებად და დაავალეთ თითოეულ ჯგუფს, რომ შესასწავლ ენაზე შეადგინოს კითხვარი ენის მატარებელთან ინტერვიუსთვის. მაგალითად, ერთმა ჯგუფმა მოამზადოს კითხვები მოწვეული სტუმრის ბავშვობის შესახებ; მეორემ - მისი საქმიანობის; მესამემ - მისი ქვეყნის ტრადიციების შესახებ და ა.შ. როცა ინტერვიუ შედგება, დაავალეთ ყველა ჯგუფს ანგარიშის დაწერა და თითოეული მათგანი განიხილეთ კლასში.

11. ამ დავალების შესასრულებლად მოსწავლეებს უხდებათ ინტენსიური ვარჯიში შესასწავლ ენაში: მეტყველება, აუდირება და წერა. მოსწავლეები უმეტესად თავს არიდებენ შესასწავლ ენაზე ლაპარაკს. ეს დავალება ხელს უწყობს ამ უხერხულობის დაძლევას.

*საშუალება, რომელიც ეხმარება შემსწავლელს გამოცდისთვის მოსამზადებლად და უჩვენებს მათ, რომ სწორედ ისინი არიან პასუხისმგებელი სწავლაზე*

12. განუმარტეთ თქვენს მოსწავლეებს, თუ რა სჭირდებათ გამოცდის ჩასაბარებლად. მათვე შეადგენინეთ მუშაობის გეგმა, მოიფიქრეთ როგორი სამუშაო იქნება მათთვის სასარგებლო და ერთობლივად შეიმუშავეთ ის კრიტერიუმი, რომლითაც მათი პასუხი იქნება შეფასებული. დაეხმარეთ, რომ მათი სასწავლო გეგმა და სამუშაოს ფორმები დაკავშირებული იყოს ზოგად სარეკომენდაციო დონეებთან, საილუსტრაციო ტაბულასა და თვითშეფასების საკონტროლო ფურცლებთან. ასეთი მიდგომა შეახსენებს მასწავლებლებს და მოსწავლეებს, რომ არ არის სწორი ის შეხედულება, თითქოს სწავლა მაქსიმალურად ეფექტურია, როცა ინიციატივა და პასუხისმგებლობა მთლიანად მასწავლებელს ეკისრება და მეორე - გამოცდებისთვის მზადების დროსაც კი ყურადღება არ უნდა მოგვიდუნდეს ჩვენს საკომუნიკაციო მიზნებზე.

*სახელმძღვანელოს ეფექტური გამოყენება*

13. შეარჩიეთ ნებისმიერი გაკვეთილი თქვენი სახელმძღვანელოდან. დაუფიქრდით, როგორ შეძლებთ, რომ ეს გაკვეთილი ისე მიუსადაგოთ თქვენს სწავლებას, რომ ამოსავალ წერტილად გქონდეთ დესკრიპტორები და თვითშეფასების საკონტროლო ფურცლები.

*გამოიყენეთ დესკრიპტორები თქვენი შემსწავლელებისათვის*

შეეცადეთ შეაჯამოთ თქვენი შემსწავლელების შესაძლებლობები შესასწავლ ენაში *მე შემიძლია* ფორმულით, ხუთი პარამეტრის - აუდირება, წაკითხვა, დიალოგი, მონოლოგი, წერა - მიხედვით.

*დესკრიპტორების დართვა სახელმძღვანელოზე*

14. შეადგინეთ ხუთრიგიანი ცხრილი (აუდირების, წაკითხვის, დიალოგის, მონოლოგის და წერისთვის) და ერთი სვეტი ენის ფლობის თითოეული დონისთვის თქვენი შემსწავლელების ენობრივი გამოცდილების შესატყვისად (დაწყებითი შემსწავლელებისათვის დაგჭირდებათ მხოლოდ ერთი სვეტი **A1**; ზრდასრული დამწყები შემსწავლელებისათვის ორი სვეტი **A1** და **A2**; დაბალი საშუალო ასაკის შემსწავლელებისათვის ორი სვეტი **A2** და **B1**; და მაღალი საშუალო ასაკის შემსწავლელთათვის ორი სვეტი **B1** და **B2**). ყოველი ახალი გაკვეთილის დაწყებამდე გადახედეთ ტაბულას და ჩაინიშნეთ მასში მოცემული კომუნიკაციური ჩვევები, ლინგვისტური ცოდნა და ლექსიკა. ეს დაგეხმარებათ იმაში, რომ სახელმძღვანელო კარგად მიუსადაგოთ თქვენი მოსწავლეების საკომუნიკაციო მიზნების და შესასწავლ ენაზე გამართულად მეტყველების მიღწევას.

# საკლასო სამუშაოები დესკრიპტორების გამოყენებით

*დესკრიპტორების გამოყენება მთელი კლასის მიზნების ჩამოყალიბებისას*

15. აკადემიური წლის (სემესტრის) კურსის დასაწყისში ესაუბრეთ თქვენს მსმენელებს იმის შესახებ, თუ რა უნდა ჰქონდეთ შესწავლილი აკადემიური წლის (სემესტრის) კურსის ბოლოსთვის. დაეხმარეთ მათ იმაში, რომ თავიანთი მიზნები ჩამოაყალიბონ *მე შემიძლია* ფორმულებით, დაწერონ ისინი პლაკატებზე და განათავსონ საკლასო ოთახის კედლებზე. ეს მიზნები ასევე შეიტანონ თავიანთ ბიოგრაფიებში. იმსჯელეთ მოსწავლეებთან იმ ნაბიჯებზე, რომელთა გადადგმა დაგჭირდებათ მიზნების განხორციელებისთვის, გარკვეული პერიოდულობით შეახსენეთ მოსწავლეებს ამ მიზნების შესახებ. შემსწავლელებს შეუძლიათ მიღწეული შედეგები აღნიშნონ შესაბამის პლაკატებზე ხელის მოწერით.

*დესკრიპტორების გამოყენება წინსვლის შესამოწმებლად და ინდივიდუალური სასწავლო მიზნების დასახვისათვის*

16. შეაჩვიეთ თქვენი მოსწავლეები წყვილად მუშაობას. დაავალეთ მათ, რომ კარგად დააკვირდნენ თავიანთი სამუშაო დონის ერთი რომელიმე კონკრეტული ჩვევის დესკრიპტორებს (მაგ. **A1** კითხვა, **B2** დიალოგი) და დაუფიქრდნენ: 1. რა აკავშირებთ ამ დესკრიპტორებთან, და 2. კიდევ რაზე უნდა იმუშაონ ამ დესკრიპტორების სრულყოფილად ფლობისთვის. თითოეულმა მოსწავლემ დაისახოს მიზანი, რის მიღწევასაც აპირებს შემდეგი თვისათვის და განიხილოს ის თავის მეწყვილესთან ერთად. ჩააწერინეთ ყოველივე ეს ბიოგრაფიებში. რა სჭირდებათ მათ მიზნის მისაღწევად? ერთი თვის შემდეგ კვლავ წყვილად მუშაობით შეაფასონ რამდენად მიაღწიეს სასურველ მიზანს (აკისრებთ რა თქვენს მოსწავლეებს შესაბამის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობას, თქვენ ამით ახალისებთ მათ უფრო ღრმად ჩაერთონ სასწავლო პროცესში. თქვენი მიზნები კურსის ბოლოს კი არ იწურება, არამედ გაპოვენინებთ ახალ გზებს, რათა თქვენმა მოსწავლეებმა უფრო ბეჯითად იმუშაონ).

*დაეხმარეთ შემსწავლელებს დონეებისა და დესკრიპტორების სახელმძღვანელოსთან დაკავშირებაში*

17. ვიდრე დაიწყებთ ახალ თავს სახელმძღვანელოში, მოკლედ მოუთხრეთ მის შესახებ მოსწავლეებს. დაავალეთ მათ ჩამოაყალიბონ მოცემული თავის ძირითადი არსი და გამოხატონ *მე შემიძლია* ფორმულებით. როდესაც დასრულდება თავის შესწავლა, კვლავ დაავალეთ თქვენს მოსწავლეებს წყვილად მუშაობა მიღწეული შედეგის შესაფასებლად.

ბოლო საკითხი ინდივიდუალური განსჯისთვის და/ან დისკუსია კოლეგებთან

18. რა იმპულსს აძლევს ევროპის საბჭოს სკალა და დესკრიპტორები თვით სწავლებასა და თქვენს შემსწავლელებს? განიხილეთ ეს საკითხი შემსწავლელებთან ერთად შემდეგი ასპექტით:

## სწავლების და შესწავლის მიზნები
## შემსწავლელთა სტიმულირება
## შეფასება

*ორი სააზროვნო დავალება:*

1. გააზრებულ სწავლას სჭირდება საზრიანი მასწავლებელი და კარგი მასწავლებლები ჩვეულებრივ კარგი შემსწავლელები არიან. დაწერეთ ორი მოკლე ტექსტი იმ ენაზე, რომელსაც ასწავლით. ისინი უნდა პასუხობდნენ კითხვებს "ენის როგორი შემსწავლელი ვარ?" "ენის როგორი მასწავლებელი ვარ?". თითოეული დავალებისათვის მოიფიქრეთ სამ-სამი ზედსართავი სახელი. პირველი სამი უნდა გამოხატავდეს თქვენს ყველაზე დადებით მახასიათებლებს, როგორც ენის შემსწავლელის/მასწავლებლის.; მეორე სამი ზედსართავი კი - თქვენს ყველაზე უარყოფით მახასიათებლებს. დაასახელეთ ის ტექნიკური საშუალებები, რომლებსაც უპირატესობას აძლევთ სწავლის/სწავლების პროცესში. თითოეული ტექსტი დაასრულეთ ენის სწავლის/სწავლების წარმატებული გამოცდილებით.

*ენის როგორი შემსწავლელი ვარ?*

2. დაავალეთ თქვენს მოსწავლეებს, თუ შესძლებენ, შესასწავლ ენაზე დაწერონ მცირე ზომის ტექსტი, რომელშიც იქნება პასუხი შეკითხვაზე: "ენის როგორი შემსწავლელი ვარ?". შესთავაზეთ მათ, რომ თავდაპირველად დაფიქრდნენ სამი ისეთი ზედსართავი სახელის შესახებ, რომლებიც მათ, როგორც ენის შემსწავლელებს დაახასიათებს ძალიან დადებითად და სამი ისეთი ზედსართავი სახელის შესახებ, რომლებიც დაახასიათებს მათ ყველაზე უარყოფითი მხრიდან. ასევე შესთავაზეთ, რომ დაასახელონ სულ ცოტა, სამი ისეთი სასწავლო / ტექნიკური საშუალება, რაც სასარგებლოდ მიაჩნიათ ენის შესწავლისთვის. სთხოვეთ, რომ ტექსტი დაასრულონ ენის წარმატებული შესწავლის გამოცდილების მოკლე აღწერით.

3. თქვენ ამ დავალების მომზადება შეგიძლიათ კლასთან დისკუსიის შედეგად. მათ სურვილისამებრ უნდა შექმნან პატარა ჯგუფები და ჯგუფურად განიხილონ ეს დავალება. წერის დასრულების შემდეგ გაუზიარონ წერის შედეგები თავიანთ ჯგუფს. ამან შეიძლება წაახალისოს ისინი, რომ განაახლონ ან შეასწორონ ტექსტი. შემდეგ მათ შეუძლიათ ჩაწერონ ეს ტექსტი ბიოგრაფიაში. საბოლოოდ კი ყველა ან ზოგიერთი ტექსტი შეიძლება მოთავსდეს საკლასო ოთახის კედელზე და გამოყენებულ იქნას იმისთვის, რომ მათ მიერ შემოთავაზებული ჩამონათვალი ახალი სასწავლო და ტექნიკური საშუალებებით შეივსოს.

*სასარგებლო სასწავლო სამუშაოები*

4. ჰკითხეთ თქვენს მოსწავლეებს გაკვეთილზე ჩატარებულ სამუშაოთა შორის, რომელია მათთვის ყველაზე სასარგებლო და პასუხები დაწერეთ პლაკატზე. დარწმუნებული ხართ, რომ მათი მოწონებული სამუშაოები მართლაც ყველაზე სასარგებლოა, თუ საჭიროდ მიგაჩნიათ, რომ შეაცვლევინოთ მათ თავიანთი მოსაზრება?

*შეაჩვიეთ მოსწავლეები გაკვეთილის მომზადებას და ჩატარებას*

5. დაყავით კლასი ხუთ ან ექვს კლასიან ჯგუფებად. თვეში ერთხელ (ან სემესტრში ერთხელ) თითოეულ ჯგუფს მოამზადებინეთ და ჩაატარებინეთ სპეციალიზებული

გაკვეთილი, რომელიც მიზნად ისახავს, რომ დაკავშირებული იყოს დესკრიპტორებთან. წინასწარ შეთანხმდით გაკვეთილის შინაარსზე მთელ კლასთან. მთელმა კლასმა უნდა ერთად შეაჯამოს გაკვეთილი და იმსჯელოს შეფასებაზე.

დოსიეს გამეორება და წარმოდგენა

6. რეგულარულად (თვეში ერთხელ, სემესტრში ორჯერ და ა.შ. თქვენი კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე) მთელი გაკვეთილი დაუთმეთ დოსიეს. დაავალეთ თქვენს მოსწავლეებს გაკვეთილისათვის სპეციალურად მომზადება - დოსიეში შეტანილი მასალის გამეორება და თუ საჭიროა, წესრიგში მოყვანა. გაკვეთილზე მიეცით მათ წყვილად მუშაობის საშუალება, რომ ერთმანეთს უჩვენონ თავ-თავისი დოსიე და აუხსნან თუ რომელი საკითხები მიაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად და რატომ. თუ დარჩენილი დრო მოგცემთ საშუალებას, წყვილებმა შეადგინონ ჯგუფები, თითოეულმა ჯგუფებმა მოამზადოს თავისი დოსიე მთელი კლასის წინაშე წარსადგენად და განსახილველად.

*შეაფასეთ თქვენი გამოცდილება უცხო ენაში*

7. რა სიხშირით აფასებთ თქვენს საკუთარ გამოცდილებას იმ უცხო ენაში (ენებში), რომელსაც (რომლებსაც) ასწავლით? როგორ აკეთებთ ამას? რაზე ახდენთ ფოკუსირებას, კომუნიკაციურ ჩვევებზე თუ ლინგვისტურ კომპეტენციაზე? შეგიძლიათ იმის დემონსტრირება, რომ თქვენ აკურატულად შეაფასეთ საკუთარი თავი? რამდენად ეფექტურია თქვენთვის თვითშეფასება?

*ინტეგრირებული სწავლა, შემსწავლელთა მიერ ერთმანეთის შეფასება და თვითშეფასება: მაგალითი*

8. ქვემოთ მოგვყავს სამუშაო ზრდასრული ასაკის შემსწავლელთათვის. მასში კომბინირებულია შემსწავლელთა მიერ ერთმანეთის შეფასება და თვითშეფასება. ბოლოს წარმოდგენილი თვითშეფასების ცხრილი ითვალისწინებს შემსწავლელთაგან მათი ლინგვისტური კომპეტენციისა და კომუნიკაციური სამუშაოს შეფასებას.

## ექვსი სააზროვნო ნიღაბი

*ფიქრი არის ჩვევა, რომელიც უნდა ისწავლო და ასწავლო სხვებს. როდესაც რაიმეს ვიკვლევთ, მეტად სასარგებლოა სხვადასხვა პოზიციიდან შემოთავაზებული აზრების მოსმენა.*

- ვიდრე გამოიყენებთ ექვს სააზროვნო ნიღაბს, განასხვავეთ ისინი ემოციური დატვირთვისა და შესაბამისი ფერების მიხედვით: 1 - თეთრი; 2 - წითელი; 3 - ყვითელი; 4 - მეწამული; 5 - ლურჯი.
- კლასი უნდა დაყოთ სამკაციან ჯგუფებად.
- 25 წუთში თითოეულმა ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოს შედეგები.
- სამუშაოს შეფასება მოხდება შესვენების შემდეგ.

რას ნიშნავს სხვადასხვა ფერის ნიღაბი?

| | |
|---|---|
| თეთრი ნიღაბი | ნეიტრალური მხოლოდ ფაქტებთან აქვს საქმე კომპიუტერის მსგავსად არ აქვს ემოციები |
| წითელი ნიღაბი | ძლიერი განცდები ემოციები სიბრაზე / სიძულვილი არანაირ გრძნობებს არ აღძრავს |
| ყვითელი ნიღაბი | დადებითი ოპტიმისტური იმედიანი კონსტრუქციული საუკეთესო თვალთახედვა |

| | |
|---|---|
| მეწამული ნიღაბი | უარყოფითი პესიმისტური კრიტიკული მოღუშული |
| მწვანე ნიღაბი | შემოქმედებითი ახალი იდეები საგნების ახლებური ხედვა ცვლილებების ადვილად მიღება ალტერნატივების შეთავაზება |
| ლურჯი ნიღაბი | მიმოიხილავს სხვა ნიღბებს აჩვენებს რა გჭირდებათ უფრო მეტად აჩვენებს რას უფრო უკეთ ფლობთ კარგია დასკვნების გამოსატანად |

პროცედურა:

- მოირგეთ რომელიმე ნიღაბი, რომ აღწეროთ ერთ-ერთი თემათაგანი: ქორწინება, სიესტა (დასვენება), დღიურის წარმოება, ინტერვიუ, მე და კომპიუტერი;
- მოირგეთ თითოეული ნიღაბი და შეხედეთ ამ თემებს იმ თვალით, რასაც ნიღბები გამოხატავს. ჩაიწერეთ თქვენი მოსაზრებები A3 ფორმატზე.

ქვემოთ მოგვყავს პასუხების ნიმუში კატებზე საუბრიდან სააზროვნო ნიღბების გამოყენებით:

| | |
|---|---|
| თეთრი ნიღაბი | ოთხფეხა და ულვაშებიანი ცხოველი. ჭამს თაგვებს |
| წითელი ნიღაბი | ჭუჭყიანი, ეგოისტი ცხოველი, რომელიც დიქტატორივით არის ოჯახში. მახვილგონიერი, საყვარელი ბეწვის ბურთი, თბილი და რბილი. |
| ყვითელი ნიღაბი | ნამდვილად საჭიროა სახლში თაგვების დასაჭერად. არგია ბავშვებისათვის, რათა ისწავლონ თუ როგორ უნდა მოუარონ ცხოველებს, დამოუკიდებელი და საყვარელი ცხოველი. |
| მეწამული ნიღაბი | შეიძლება გაავრცელონ ავადმყოფობა, უკეთესია ერიდოთ ფეხმძიმობისას |

| | |
|---|---|
| | (დაავადებათა გამო), შეიძლება გამოიწვიოს ალერგია, კატის ყოლა მოითხოვს დიდ პასუხისმგებლობას. |
| მწვანე ნიღაბი | შეგიძლიათ დაიწყოთ ახალი ბიზნესი და გახსნათ კატების სასტუმრო ან მოაშენოთ კატები. |
| ლურჯი ნიღაბი | ზოგს უყვარს კატები და ზოგს ეჯავრება, არ არსებობს ლოგიკური ახსნა. ეს გრძნობებზეა დამოკიდებული. |

პრეზენტაცია:

25 წუთის შემდეგ თითოეულმა ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს თავიანთი მუშაობის შედეგები ქვემოთ მოყვანილი ორი ინსტრუქციის შესაბამისად. პრეზენტაციისთვის გეძლევათ 10 წუთი.

- ჯგუფის ინტერესებიდან გამომდინარე, თითოეულმა წევრმა უნდა წარმოუდგინოს კლასს ორი პლაკატი (ორი ნიღაბი);
- თითოეული ჯგუფის წარმოდგენა უნდა შეიცავდეს სამ შემოთავაზებას იმის შესახებ, თუ რა მოხდება, თუ ჩვენ შევეცდებით, გამოვიტანოთ დასკვნები მაშინ, როცა მორგებული გვექნება თითოეული ნიღაბი, გარდა ლურჯისა. თითოეულმა წევრმა უნდა შემოგვთავაზოს ერთი მოსაზრება და ერთი მაგალითი.

5 წუთი შესვენება

თუ თქვენ ხართ ამ სავარჯიშოს შესრულების ჯგუფის წევრი, უმჯობესია ერთად შეაფასოთ თქვენი მიღწევები, წარმატების შესამოწმებლად თქვენს სამუშაოს მოარგეთ სხვადასხვა რუბრიკა, როგორც ქვემოთაა მითითებული და უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს:

| | |
|---|---|
| 1. პროცესი რა გააკეთეთ? | 2. ორგანიზაცია რამდენად ორგანიზებული იყავით? |
| 3. რესურსები გქონდათ საკმარისი დრო და სივრცე? ჯგუფის წევრები მხნედ იყვნენ თუ დაღლილები? | 4. მონაწილეები ყველამ მიიღო მონაწილეობა? ყველას წვლილი სასარგებლო იყო? |
| 5. ეფექტურობა როგორი იყო თქვენი წვლილი და რამდენად კმაყოფილი ხართ შედეგებით? | 6. გავლენა რამდენად გეხმარებათ ეს სასწავლო გამოცდილება ცხოვრებაში(საერთოდ თუ გეხმარებათ)? |

| 7. ენა შეაფასეთ თქვენი ენობრივი ქმედება ზოგადი სკალის მიხედვით | | | |
|---|---|---|---|
| | ფონოლოგია | თავისუფლება | გრამატიკა |
| დონე 1 | მთლად გაუგებარი მეტყველება | მეტყველება ძალიან ნელი და გაურკვეველი | შეცდომები მეტყველებაში, გაგება შეუძლებელია |
| დონე 2 | ძლიერი აქცენტი ენაში | მეტყველებისას ხშირი პაუზები | ბევრი შეცდომა, მაგრამ მეტყველების გაგება შესაძლებელია |
| დონე 3 | არცთუ ცუდი აქცენტი | მეტყველება თავისუფალი, ცოტაოდენი პაუზით | ძირითადად კარგი გრამატიკა, პრობლემები რთულ კონსტრუქციებთან. |
| დონე 4 | კარგი აქცენტი და ინტონაცია | მეტყველება თავისუფალი, სიტყვათა კარგი შერჩევა. | რთული კონსტრუქციების გამოყენება ძალიან მინიმალური შეცდომებით. |

ჯგუფი A B C D

სახელი ——————

| | ფონოლოგია | თავისუფლება | გრამატიკა |
|---|---|---|---|
| თვითშეფასება | დონე: | დონე: | დონე: |
| შეფასება მასწავლებლის მიერ | დონე: | დონე: | დონე: |

შენიშვნა:

- ჯგუფთან ერთად თქვენ უნდა დაამუშაოთ 1-6 ნაკვეთები და დისკუსიის შედეგები ბოლოს უნდა წარმოადგინოთ დიდ პლაკატზე. (თითოეულმა შემსწავლელმა ორ-ორი დასახელების)
- მეშვიდე ნაკვეთზე უნდა იმუშაოთ ინდივიდუალურად.

*ორწუთიანი საუბარი*

კვირაში ერთხელ დაავალეთ თქვენს შემსწავლელებს დაწყვილდნენ და მოამზადონ დიალოგი შესასწავლ ენაზე მათ მიერ შერჩეული თემის გარშემო(მაგ; რას აკეთებენ შაბათ-კვირას, ახალი ჰობი, ფილმი, რომლის ნახვასაც აპირებენ). მათი მიზანი უნდა იყოს საუბრის გაგრძელება 2 წუთის განმავლობაში; მას მერე რაც უფრო გაიწაფებიან ენაში, სასაუბრო დრო შეიძლება გაუზარდოთ. ისინი თვითონ ინიშნავენ დროს, თუ მათ ვერ მოახერხეს 2 წუთის განმავლობაში საუბარი, უნდა ჩაინიშნონ, თუ რამდენ ხანს ისაუბრეს და შემდეგისათვის მოემზადონ ისე, რომ დასძლიონ ეს ხარვეზი.

*მოსწავლეთა მიერ ერთმანეთის წერითი სამუშაოს შესწორება:*

მიეცით მოსწავლეებს წერითი დავალება, როდესაც ისინი დაასრულებენ თავიანთი თხზულების შავ პირს, სთხოვეთ მათ, რომ თვითონ შეარჩიონ წყვილები და გაუცვალონ ერთმანეთს თავიანთი ნამუშევრები. აუხსენით, რომ ფოკუსირება მოახდინონ არა მარტო შეცდომებზე, უზუსტობებზე, ხარვეზებზე, არამედ ნაწერის დადებით მხარეზეც, შემდეგ მოსწავლეები შესწორებულ და გადამუშავებულ ნაწერებს აბარებენ მასწავლებელს გასასწორებლად.

*თვითშეფასება ევროპის საბჭოს საილუსტრაციო სკალების გამოყენებით:*

შემსწავლელები თვითონ ადგენენ სამ-ოთხკაციან ჯგუფებს. თითოეული ჯგუფი საილუსტრაციო სკალებიდან ირჩევს ერთ დესკრიპტორს, თუ ისინი მუშაობენ **B2** დონეზე მათ შეუძლიათ აირჩიონ ქვემოთ ჩამოთვლილი დესკრიპტორებიდან ერთ-ერთი:

- ხანგრძლივი მონოლოგი, გამოცდილების აღწერა- შეუძლია მისთვის საინტერესო საკითხების ფართო სპექტრის მკაფიოდ აღწერა.
- განცხადებებისა და ინსტრუქციების მოსმენა- შეუძლია კონკრეტულ თუ აბსტრაქტულ თემებთან დაკავშირებული განცხადებებისა და შეტყობინებების გაგება, თუ ისინი წარმოთქმულია სალიტერატურო ენაზე ნორმალური სისწრაფით.
- მოხსენებებისა და ესეების წერა- შეუძლია მოხსენების ან ესეს არგუმენტირებულად წერა, გარკვეული მოსაზრებების მხარდაჭერა ან უარყოფა, საკითხის გადაწყვეტის ხელსაყრელი თუ არახელსაყრელი მხარეების ჩვენებით.

გამოიძახეთ ჯგუფები განვლილი მასალის შესახებ სასაუბროდ და განსაზღვრეთ, რამდენად ახლოს არიან თავიანთსავე შერჩეულ დესკრიპტორთან, რომელზეც ფოკუსირებულები(რამდენადაც შესაძლებელია, მსჯელობა წარმართონ შესასწავლ ენაზე), რომელი სასწავლო სამუშაოები დაეხმარა ამ დესკრიპტორის დაძლევაში. როგორი იყო მათთვის ეს სამუშაოები - ადვილი/ძნელი, გამოსადეგი / გამოუსადეგარი? რატომ? კიდევ რის გაკეთება სჭირდებათ ამ დესკრიპტორში დასახელოვნებლად? ყოველივე ეს მოუთხრონ მთელ კლასს.

*თვითშეფასება, მოსწავლეთა მიერ ერთმანეთის შეფასება და პროექტზე მუშაობა:*

შემსწავლელები მუშაობენ ჯგუფებად, იმიტომ რომ შესასწავლ ენაზე პრეზენტაციისათვის მოამზადონ რაიმე კონკრეტული თემა. მთელი კლასი მსჯელობს, თუ რა იქნება კარგი პრეზენტაციისათვის და თემის ძირითად მახასიათებლებს ინიშნავენ პლაკატზე, თითოეული ჯგუფი ირჩევს ლიდერს, რომელიც პასუხისმგებელია სამუშაოს კოორდინირებაზე, პრეზენტაციის შემდეგ ჯგუფის ხელმძღვანელები ხვდებიან ერთმანეთს პრეზენტაციების შესადარებლად და პოზიტიური და ნეგატიური მხარეების იდენტიფიკაციისათვის. ამასთანავე შემსწავლელები ცალ-ცალკე წერენ იმ წვლილის შესახებ, რაც მათ შეიტანეს ჯგუფური სამუშაოს შესრულებაში. ყველა პროექტი საბოლოოდ ფასდება ჯერ ჯგუფებში და შემდეგ, როგორც მთელი კლასის ნამუშევარი.

## *საშინაო დავალება:*

*დავალების შედგენა სხვა შემსწავლელთათვის*

საშინაო დავალებად მიეცით შემსწავლელებს ტესტის შედგენა სხვა მოსწავლეებისთვის. ის უნდა იყოს ფოკუსირებული ევროპის საბჭოს ერთი ან მეტი დესკრიპტორის მიხედვით და უნდა მოიცავდეს სახელმძღვანელოს ბოლო ორ გაკვეთილს, ან ბოლო თვეში შესწავლილ მასალას. აუხსენით მოსწავლეებს, თუ რა მოცულობის უნდა იყოს ტესტი. მოსწავლეები ერთმანეთს უცვლიან და შემდეგ უსწორებენ ტესტებს.

*ბიოგრაფიის გამოყენება რეგულარული თვითშემოწმებისთვის:*

შემსწავლელები ბიოგრაფიაში განსაზღვრავენ თავიანთ ამოცანებსა და განსაკუთრებით საინტერესო ან/და მნიშვნელოვან ინტერკულტურულ ან სასწავლო გაამოცდილებას. გამოიყენეთ ეს რეგულარული თვითშეფასებისთვის. მაგალითად, როდესაც თქვენი მოსწავლეები განიხილავენ თავიანთ სასწავლო მიზნებს, მიეცით მათ დავალება, თვითშეფასებისთვის, მიაღწიეს თუ არა მათ თავიანთ მიზნებს? თუ მიაღწიეს, რა ხარისხითა და სიზუსტით და ოუ არა, რატომ? რის შესწავლა სჭირდებათ შემდგომში?

სამი საკითხი ინდივიდუალური განსჯისათვის და/ან დისკუსია კოლეგებთან:

*დააკვირდით თქვენს კონკრეტულ სიტუაციას;*
წარმოდგენილი სამუშაოებიდან რომელს გამოიყენებდით (შესწორებებით ან შეუსწორებლად) თქვენს კონკრეტულ სიტუაციაში.
*მოემზადეთ თვითშეფასების ფენომენის ასახსნელად*
დაფიქრდით იმ გაკვეთილზე, რომლის სწავლებასაც აპირებთ მომავალ კვირაში. როგორ ჩართავთ თვითშეფასებას ამ მასალაში?

*მასწავლებლებიც უნდა დაინტერესდნენ თვითშეფასებით:*

როგორ აფასებთ თქვენს მიერ წარმართული სწავლების პროცესს (ან თქვენი აზრი სწავლებაზე), ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი შემდეგ საკითხებზე:

ფოკუსირება ევროპის საბჭოს დესკრიპტორებზე
შესასწავლი ენის გამოყენება
დაფიქრება შესასწავლ ენაზე
დაფიქრება ენის გამოყენებაზე
დაფიქრება ენის შესწავლაზე
შემსწავლელთა ინიციატივის მხარდაჭერა
თვითშეფასება

*მიმოწერით გაიჩინეთ მეგობრები:*

გამოიყენეთ თქვენი კონტაქტები, რათა დაეხმაროთ თქვენს მოსწავლეებს მიმოწერით დაამყარონ მეგობრობა შესასწავლ ენაზე. თქვენი მოსწავლეების ასაკისა და გამოცდილების გათვალისწინებით, შეიძლება უკეთესი იყოს ჯგუფური წერილები, ვიდრე ინდივიდუალური.

*სასწავლო მასალები მცირეწლოვანი/ახალბედა შემსწავლელებისთვის:*

მოსწავლეებმა წარმოიდგინონ, რომ თქვენი დაწესებულება არის ენის შემსწავლელი საზოგადოება, რომელიც სავარჯიშოებს ადგენს უმცროსი ასაკის ან ნაკლებად გამოცდილი შემსწავლელებისთვის. მაგალითად, წააკითხეთ მათი შესასწავლი ენის ცოდნის დონეზე ოდნავ რთული მოთხრობა და შემდეგ გადააკეთეთ ის მარტივ დიალოგებად, რომელიც შეიძლება გამოიყენონ ერთი საფეხურით უფრო დაბალ დონეზე მყოფმა მოსწავლეებმა. ასეთი ვარჯიში ხელს უწყობს წაკითხვის ჩვევის განვითარებას. იგი უნდა დასრულდეს წერითი დავალებით. ეს აძლევს მოსწავლეებს თავიანთი მუშაობის რეალური შედეგის წარმოჩენის საშუალებას. უმცროსი ასაკის შემსწავლელები ხვდებიან, რომ ისინი უფროსი ასაკის მოსწავლეების მასალაზე მუშაობენ.

*თქვენი მოსწავლეების მიღწევების რეკლამირება:*

გააცანით თქვენს მოსწავლეებს პროექტი თავიანთი სწავლის შედეგების წარმოსაჩენად. მოაწყობინეთ გამოფენა ბიოგრაფიისა და დოსიეს ჩვენებით და სთხოვეთ, რომ ესაუბრონ გამოყენების მიზნის შესახებ ახალბედა შემსწავლელებს, ან იმათ, ვინც მომავალში აპირებს ენის შესწავლას. ხელი შეუწყვეთ თქვენს მოსწავლეებს იმაში, რომ რაც შეიძლება მეტად გამოიყენონ შესასწავლი ენა პროექტზე მუშაობისას.

*თამაში ლექსიკური მარაგის გასაუმჯობესებლად:*

შემსწავლელები დასხდნენ წრეში. ერთ-ერთი იწყებს თამაშს-ჩემს ჩანთაშია წიგნი(იმეორებს და უმატებს თავის სიტყვას), რვეული; შემდეგი ამბობს: ჩემს ჩანთაშია წიგნი, რვეული და უმატებს თავისას, მაგალითად, ცარცი; შემდეგი ამბობს: ჩემს ჩანთაშია წიგნი, რვეული, ცარცი და უმატებს თაეისას, მაგალითად, გაზეთი და ა. შ. მათ უნდა

დაიმახსოვრონ სიტყვათა თანმიმდევრობა. ბავშვები ხშირად ხუმრობენ: *ჩემს ჩანთაშია სპილო, აქლემი, კუ. . .* კარნახი არ შეიძლება, მოკარნახე თამაშიდან ვარდება, ვინც ვერ გაიხსენებს ან დაარღვევ თანმიმდევრობას, ისიც ეთიშება თამაშს. ამდენად, შემსწავლელები ერთგვარად დაძაბული არიან და მთელი გულისყურით ერთვებიან თამაშში. ნელ-ნელა მოთამაშეების რაოდენობა მცირდება და ბოლოს დარჩენილი მოთამაშე გამარჯვებულად ცხადდება.

*სხვადასხვა შესაძლებლობების შემსწავლელებთან მუშაობა:*

და წყვილეთ განსხვავებული შესაძლებლობების შემსწავლელები. ენაში უფრო დახელოვნებულმა მოსწავლეებმა უნდა მოუმზადონ და დაუსვან შეკითხვები ნაკლებ დახელოვნებულებს. ეს ხელსაყრელია ორივე მხარისთვის, ბავშვები შეარჩევენ იმაზე მარტივ კითხვებს, კონსტრუქციებსა და სიტყვებს, ვიდრე მასწავლებელი. ეს გაამარტივებს დიალოგის წარმართვას. უფრო მომზადებულმა მოსწავლეებმა უნდა გაანალიზონ თუ რა დახმარებას საჭიროებენ მათი თანაკლასელები.

ეფექტურია ასევე დროდადრო ორი სხვადასხვა კლასის გაერთიანება, მაგალითად, მეხუთე და მეექვსე კლასის ერთობლივი გაკვეთილის ჩატარებამდე მეექვსე კლასელებმა უნდა მოუმზადონ მეხუთე კლასელებს დავალებები, მაგალითად კროსვორდები, გამოცანები და იმუშაონ წყვილებად. შედეგები გაანალიზონ მასწავლებელთან ერთად და ხარვეზების გამოსასწორებლად დასახონ ახალი სამუშაოები.

შეკვეთა № 144 ტირაჟი 300

შ. პ. ს. «სტამბა» ნუცუბიძის ქ. № 7
О.О.О. «СТАМБА» ул. Нуцубидзе № 7